# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 22 აპრილი. 2017 წ. №83 (8220), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## ირაკლი აბაშიძე: მე თქვენი დედაც, სალიერებო!..



4

მოგონებათა ჟულაბიდან

**ბედი ბოროტი თქვენი ბედია!**

## თბილისის ერთ-ერთ ქუჩას გივი ბერიკაშვილის სახელი მიენიჭება



ამის შესახებ თბილისის საკრებულო საკრებულოს თავმდჯომარის გიორგი ალიბეგაშვილის განცხადებას ავრცელებს.

**„ჩვენი და ქართველი საზოგადოების მოსაზრებები თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის გივი ბერიკაშვილის სახელის დარქმევასთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვევა; აქედან გამომდინარე, გამოვიყენებთ კანონმდებლობით მონიჭებულ უფლებამოსილებას და საკრებულოს წინაშე დავაყენებთ ინიციატივას ერთ-ერთი ქუჩისთვის გივი ბერიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ. კონკრეტული ქუჩის შერჩევასთან დაკავშირებით აქტიური კონსულტაციები გაიმართება მსახიობის ოჯახის წევრებთან, სამოქალაქო საზოგადოების, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან“,** — ნათქვამია საკრებულოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## ბათუმში სასტუმრო „ირეპალასი“ გაიხსნა




**ბათუმში, ლუკა ასათიანის №26-ში სასტუმრო „ირეპალასი“ გაიხსნა. ოფიციალურ ცერემონიაში აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ, ქალაქის მერმა გიორგი ერმაკოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა.**

სასტუმროს მშენებლობა 2016 წელს დაიწყო. პროექტში 500 000 დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. 38-ნომრიან სასტუმროში საცურაო აუზი და სპორტული დარბაზია განთავსებული.

„ირეპალასში“ ამ ეტაპზე 15 ადგილობრივია დასაქმებული. კომპანიის განცხადებით მათი რაოდენობა ზაფხულის პერიოდში გაიზრდება.

**ზურაბ პატარაძემ ბათუმში კიდევ ერთი სასტუმროს გახსნის ფაქტს სასიხარულო უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ ქალაქის ცენტრში მდებარე თანამედროვე სტანდარტების სასტუმრო მიმზიდველი იქნება ტურისტებისთვის.**

## რუსეთის „ველურობა“ კონფლიქტის ზონაში

8

მაქსიმ შევჩენკო:



**აფხაზებო, თავს ნუ მოიტყუებთ!**

### ფიქრები ტელევიზორთან

## როცა პარლამენტს ვუყურებ!..

- შალიკოს თუ დავუჯერებთ, საქართველოს დედაქალაქი სოხუმი უნდა გახდეს
- გიორგი კანდელაკო, სროლაში ნინო სალუქვაძეს მიებარე...
- ნეტავი, ქალის რა წილია შალვა შავგულიძეში და რა მამაკაცის წილი — ელენე ხოშტარიასა და თინა ბოკუჩავაში?

3

### თანავარსკვლავედელი



9

**გურამ მინაშვილი**

## ილია ვეკუა – 110

**მეცნიერის სულიერი და ფიზიკური სიდიადე**

5



# უპირობო მხარდაჭერა ევროინტეგრაციის გზაზე



**საქართველოსა და უნგრეთის სექტორული თანამშრომლობა კიდევ უფრო ძლიერდება, რაც ორი ქვეყნის მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმებებით დასტურდება,** —ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის ხელმძღვანელობით გამართულ გაფართოებულ შეხვედრაზე აღინიშნა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების აუცილებლობაზე, ტურიზმის, ავიაციის, კულტურის, მეცნიერების მიმართულებით თანამშრომლობის გააქტიურების მნიშვნელობაზე. შეხვედრაზე ხაზი გაესვა უნგრული ავიაკომპანია Wizzair-ის საქმიანობას საქართველოში. აღინიშნა, რომ კომპანია ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ რეისებს ევროპის სხვადასხვა მიმართულებით, რაც, უვიზო რეჟიმის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, როგორც ხალხთაშორის კავშირების გამყარებას, ისე ტურიზმის განვითარებას. ქართული მხარის ინფორმაციით, ბოლო წლების განმავლობაში უნგრელი ტურისტების რიცხვი საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საუბარი შეეხო საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უნგრეთის წამყვან უნივერსიტეტებში ქართველი სტუდენტების სწავლების დაფინანსების მნიშვნელობას.

**„მოხარული ვარ, რომ გვაქვს შესაძლებლობა, განვიხილოთ ჩვენი თანამშრომლობის გაფართოების გზები. ძალიან სასიხარულოა, რომ დღეს ჩვენთან არიან უნგრეთის კერძო სექტორის წარმომადგენლები, თქვენი დელეგაციის წევრები. გაიმართება ბიზნესფორუმი, ასევე დღეს დაგეგმილია რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელშეკრულების ხელმოწერა. არსებობს ძალიან მტკიცე საფუძველი ჩვენი თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაღრმავებისთვის, ასევე მისი შემდგომი დატვირთვისთვის ეკონომიკური თვალსაზრისით“,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა შეხვედრაზე.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, უნგრეთი უპირობო მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. ვიქტორ ორბანმა ორი ქვეყნის ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარების იმედი გამოთქვა.

**„ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა, რომ გვაქვს საქართველოში ვიზიტის განხორციელების შესაძლებლობა. წელს აღინიშნება ჩვენ შორის დიპლომატიური ურთიერთობების 25-ე წლისთავი. უნგრეთი თვლის, რომ ეს არის ძალიან მტკიცე საფუძველი სამომავლოდ. ასე რომ, ჩვენი ვიზიტი ნაწილობრივ ამ წლისთავის აღნიშვნასაც ეთმობა,“** — აღნიშნა ვიქტორ ორბანმა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას უნგრეთის რესპუბლიკისა და საქართველოს მთავრობის წევრები დაესწრნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოსა და უნგრეთის მთავრობებს შორის გაფორმდა ხელშეკრულებები.

## უნგრეთის პრემიერ-მინისტრი: უნგრეთში დიდი სიამოვნებით ვიღებთ ქართველ სტუდენტებს

ქართველი სტუდენტებისთვის განკუთვნილი სტიპენდიების მოცულობა იზრდება და 50 სტუდენტის ნაცვლად უნგრეთში სწავლას 80 ქართველი სტუდენტი შეძლებს. უნგრეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საჭიროა სოფლის მეურნეობისა და ინგლისური ენის შესწავლის სფეროში უფრო გაფართოვდეს ქართველი სტუდენტების ჩართულობა.

**„ჩვენ დიდი სიამოვნებით ვიღებთ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც ჩამოდიან. ჩვენი გამოცდილებით ვიცით, რომ განათლებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა და ახალი ინვესტიციები სწორედ განათლების მაღალი დონიდან გამომდინარეობს.**

**ჩვენ მივესალმებით საშუალო განათლების სტუდენტებს, სკოლის მოწაფეებს საქართველოდან უნგრეთში. ის გზა, რომელსაც ჩვენ გავდივართ, ძალიან მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნისთვის. ჩვენ ასევე მოვიწვიეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროპის და უნგრეთის სამიტზე, რომელიც სექტემბერში ჩატარდება და იქ საქართველოს მთავრობა იქნება წარმოდგენილი,** — განაცხადა ვიქტორ ორბანმა პრემიერ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

## ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტს საფრთხე არ ემუქრება

**უნგრეთში ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტს საფრთხე არ ემუქრება,** — განაცხადა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართული პრესკონფერენციის შემდეგ — **„ამის თაობაზე ბევრი ინფორმაცია მინახავს. მას არანაირი საფრთხე არ ემუქრება და ამაზე მიდის საუბარი და მოლაპარაკება“,** — განაცხადა ვიქტორ ორბანმა დასმული კითხვის საპასუხოდ.

**უნგრეთის პარლამენტმა უცხოური უნივერსიტეტების შესახებ კანონპროექტი 3 აპრილს მიიღო და სწორედ ამ კანონის მიღების შემდეგ გახდა „სოროსის უნივერსიტეტის“ დახურვა შესაძლებელი. უნივერსიტეტის დახურვას ბუდაპეშტში აქციები მოყვა.**

## გიორგი მღებრიშვილმა უნგრეთის მხარესთან თანამშრომლობის დეკლარაციას მოაწერა ხელი



**საქართველოს ოფიციალური ვიზიტით უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე კაროლი კონტრატი და სხვა ოფიცილური პირები ეწვივნენ.**

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა და უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე კაროლი კონტრატმა ხელი მოაწერეს „ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ერთობლივ განცხადებას.

**აღნიშნული დეკლარაციის თანახმად, ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროები, ევროკავშირის პოლიტიკის შესაბამისად, საპოლიციო რეფორმების განხორციელებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ერთმანეთს გამოცდილებას და საუკეთესო პრაქტიკას გაუზიარებენ.**

## გიორგი გახარია: დარწმუნებული ვარ, ამ შეხვედრის შემდეგ კონკრეტულ ბიზნესაქტივობებთან გვექნება საქმე

**საქართველოში უნგრეთის პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საქართველო-უნგრეთის ბიზნესფორუმი გაიმართა, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ და უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრმა პიტერ სიიარტომ გახსნეს.**

ფორუმის ფარგლებში ქართულ და უნგრულ კომპანიებს შორის თემატური პანელები და ორმხრივი შეხვედრები გაიმართა. უნგრეთის დელეგაციაში წარმოდგენილები არიან კომპანიები ისეთი სექტორებიდან, როგორიცაა ენერგეტიკა, მშენებლობა, ინჟინერია, წარმოება, სამომხმარებლო საქონლის ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა და საკონსულტაციო მომსახურება.

**„ფორუმზე უნგრული კომპანიები კონკრეტული დარგების მიხედვით არიან წარმოდგენილი. ეს იქნება ძალზე პრაგმატული შეხვედრა ბიზნესებს შორის, რომელსაც, თავის მხრივ, სამთავრობო დელეგაციები დაუჭერენ მხარს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ შეხვედრის შემდეგ კონკრეტულ ბიზნესაქტივობებთან გვექნება საქმე. უნგრული მხარე ძირითადად დაინტერესებულია გადამმუშავებელი წარმოებით, მშენებლობით, წყლის რესურსების მართვით და ფარმაცევტიკით“** —განაცხადა გიორგი გახარიამ.

მინისტრის თქმით, საქართველოსა და უნგრეთის მთავრობებს შორის რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეკრულება გაფორმდება. „მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციების ურთიერთდაცვისა და წახალისების მემორანდუმია. მნიშვნელოვანია ის, რომ დღეს გამართული შეხვედრები მომავალში უფრო მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის შესაძლებლობას გვაძლევს.

უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრის პიტერ სიიარტოს განცხადებით, საქართველო რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სავაჭრო პარტნიორია. **„შესანიშნავი პოლიტიკური ურთიერთობები გვაქვს. ჩვენ ვართ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ძლიერი მხარდამჭერები. ახლა საჭიროა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობაც, ბიზნესისა და ინვესტიციების კუთხით უმაღლეს საფეხურზე ავიდეს. ჩვენ ხელს ვაწერთ ერთობლივი ინვესტიციების დაცვის შეთანხმებას იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ ურთიერთთანამშრომლობას. ასევე უნგრული ბანკის საშუალებით ვხსნით 85 მილიონი ევროს ოდენობის საკრედიტო ხაზს,“** — განაცხადა პიტერ სიიარტომ. საქართველო-უნგრეთის ბიზნესფორუმს სამთავრობო და კერძო სექტორის, ასევე დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ფორუმის ორგანიზატორები არიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და უნგრეთის სავაჭრო სახლი.



# როცა პარლამენტს ვუყურებ!..

**რომელ კინოთეატრში ან თუნდაც რომელი აკადემიური თეატრის სცენაზე ნახავს თანამედროვე მაყურებელი იმდენ თავშესაქცევ სიუჟეტს, რისი მომსწრენიც ამ დღეებში გავხდით ტელევიზიით პარლამენტის სხდომების მაყურებელნი. ცოტა არ იყოს, გადავრჩით კიდეც... ხომ შეიძლება, რომ ნაციონალური სისხლიც დაღვრილიყო, თუ კვიციანს არ გადაეღობებოდნენ და ბოკერიამდე მიუშვებდნენ... მერე იქ კიკნაველიძესთან ერთად მიწიდან ჩერგოლეიშვილიც ამოძვრებოდა, თამარ ქალი, და მენდელეევის ცხრილი თუ ტაბულა ნამდვილად მოგონილი იქნებოდა, იქ იმდენი ახალი ელემენტის აღმოჩენის მოწმენი შევიქმნებოდით.**

**ერთი სიტყვით, დასაწერი ბევრია, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმეს გამოვყოფ იმ იმედით, რომ ჩვენი კანონშემოქმედებითი ქუთაისური ორგანო ცხოვრებას თუ ვერ გვიუმჯობესებს, ხანდახან გვახალისებს მაინც.**

**აი თუნდაც ყველაზე ძველი (რასაკვირველია, ინგლისელ ლეიბორისტთა შემდეგ!) ქართველი, უფრო სწორად, დუშელი ლეიბორისტი ნათელაშვილი გავიხსენოთ, შალვა, რომლის ფანტაზიის უშრეტი წყარო ერთხელ კიდევ გადმოჩუხჩუხდა სტრასბურგის ფალავნის „ცრუსთავი-2“-ის სააკაშვილის მასაჟისტის დაღლილი ხელების ფერი ეკრანიდან.**

## შალიკოს თუ დავუჯერებთ, საქართველოს დედაქალაქი სოხუმი უნდა გახდეს

**მოგეხსენებათ, რამდენიც თავია, იმდენი აზრია, მაგრამ თურმე რამდენიც აზრია, იმდენი თავი არ ყოფილა. ესე იგი, აზრი თურმე ხან თავის გარეთაც ჩნდება. მაშასადამე, თავს გააჩნია. თავიც არის და თავიც.**



აი, მაგალითად, ნიმუშად პარტიაშეფერთხილ შალვას თუ მივადგებით, ნათელაშვილს, სათვალმჩენოდ ნათელი გახდება, რომ ამ კაცის თავს რამდენიმე ათეული წლის შემდეგ სპირტის ქილაში შეინახავენ, რათა მომავალ პოლიტიკურ თაობებს საშუალება ჰქონდეთ, რომ უფრო ღრმად დაუკვირდნენ ადამიანის ტვინს (ზოგმა იქნებ დუშეთში ამ კაცის სახელზე მავზოლეუმის აშენებაც მოითხოვოს, მაგრამ, როგორც ბოლო ხანს ირკვევა, მავზოლეუმებს თანდათან ეშხი ეკარგებათ!).

ტვინზე კი იმიტომ ჩამოვაგდე სიტყვა, რომ მთელი 25 წელიწადია, რაც საქართველო შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლას ეძებს, განსაკუთრებით ტერიტორიული გაერთიანების თვალსაზრისით, მაგრამ საშველი არ დაგვადგა.

ლაპარაკი, იცოცხლე, რაც ამ 25 წლის განმავლობაში დამოუკიდებელი, თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს მოქალაქეებმა ვილაქლაქეთ და ვიყბედეთ, თუ როგორ მოგვეწყო ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა, ალბთ, სულ ცოტა, რამდენიმე მილიონი ტომი გამოვიდოდა, მილიარდი თუ არა. მაგრამ რა! რაც მთავარია, კაცი არ გამოჩნდა, ლიდერი, რომელიც გამოსავალს იპოვიდა!

და აი, 25 წლისთავზე გამოცდილებამ მაინც თავისი ქნა — დიახ, ქნა! და კაციც გამოჩნდა. ეს კაცი ერთი უბრალო გლეხკაცის შვილია, დუშელი, სახელად შალვა ჰქვია, მაგრამ გვარი აქვს შუქით სავსე, ნათელი, ნათელაშვილია, სწორედაც რომ ნათელაშვილს უნდა ეპოვა გამოსავალი და იპოვა კიდეც... სოხუმში ოკუპანტი ლავროვის სტუმრობის დღეებში, როგორც დიდი საიდუმლო, ისე გაგვიმხილა ყველას, რომ რუსის პარპაშს საქართველოში საბოლოოდ მოეღებოდა ბოლო, თუ საქართველოს დედაქალაქად არა თბილისს, არამედ სოხუმს გამოვაცხადებთო, როგორც ჩვენზე უარეს დღეში ჩავარდნილმა ებრაელებმა იერუსალიმის დედაქალაქად, ანუ სატახტოდ, მსოფლიოს წმინდა ქალაქი იერუსალიმი გამოაცხადესო... ერთბაშად, ცხადია, ძნელია, ამ გენიალური აზრის სრულყოფილად აღქმა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ სიტყვების გაგონებისთანავე ოკუპანტმა ლავროვმა ეგრევე კუდი ამოიძუა და თავისზე დიდ ოკუპანტს პუტინს თურმე გზიდანვე აცნობა, რომ აქაური ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა დუშელმა შალიკომ საბოლოოდ მოგვიჭრა გზაო.

ამ მოულოდნელი ამბებით, ცოტა არ იყოს, დამფრთხალმა პუტინმა თურმე ჯერ კიდევ ბავშვობაში მეტეხში ნასწავლი ქართული გაიხსენა და სოხუმში სომხურკონიაკდალეული ლავროვი ლექსით დაამშვიდა:

**მაგ შენს დუშელსა შალვასა**
**ხაჯიმბა ჩახდის შარვალსაო...**

**P. S. დუშელი შალიკოსი ნამდვილად არა მჯერა! მაგრამ მეტეხელ პუტინს, რახან, ბოლოს და ბოლოს, თავი გამოიმჟღავნა, იქნებ ოკუპანტი გული ცოტა მაინც გამოუოკუპანტდეს!**

## გიორგი კანდელაკო, სროლაში ნინო სალუქვაძეს მიებარე...



**ზოგი ჭირი რომ მარგებელია, ეს ერთხელ კიდევ გამოჩნდა სადმე ბრძოლის ველზე კი არა, ქუთაისში თვითონ პარლამენტის ჭერქვეშ. ამ მარგებელ ჭირს ამჯერად კანდელაკი ჰქვია, თუმცა ამჯერად ნამდვილად უადგილოდ ვიხმარე ეს სიტყვა, რადგან გიორგი კანდელაკმა დიდი ხანია, რაც საპარლამენტო ჭირად გააცნო ჩვენს საზოგადოებას თავისი წარბებგადაკალმული თავ-პირი.**

კანდელაკის, როგორც საპარლამენტო ნაციონალური ჭირის, მარგებლობა ამ შემთხვევაში ის არის, რომ თავის ცხოვრებაში გასროლით ბევრჯერ გაუსვრია, მაგრამ თავისიანისთვის არცროდის არ მოუხვედრებია. მაგრამ ამჯერად, ახლა, მგონი, თავის ადგილას ვხმარობ ამ სიტყვას — მეოცნებისთვის ნასროლი, — ხალხისთვის თვალებში შესაყრელად ნაცრით სავსე საფერფლე, — არამზადა კანდელაკმა თავისივე კოლეგას, თავისნაირსავე არამზადასა და ნაძირალას, ენით ნაკვერცხლის ამღებ ოთოია კახიძეს სთხლიშა ათასგვარი მომწამლავი ნივთიერებებით სავსე გოგრაში, ანუ სააკაშვილისა და ადეიშვილის ერთ ბინძურ ადგილას არაერთხელ ანგარებიანად შეყოფილ თავში.

ასეა, ბატონო, როცა მიზანში სროლა არ იცი, არ უნდა ისროლო ან არადა, ცოტა მაინც უნდა გაივარჯიშო მიზანში სროლაში, ისიც არა პარლამენტის შიგნით, თორემ რა იცი, ერთ-ერთ ნაციონალ ლიდერს, ვთქვათ, ბაქრაძეს ან ბოკერიას რომ მოხვედროდა, ხომ შეიძლება, რომ ამ იორღა ნაციონალი კანდელაკისთვის სულაც მეოცნებეობა დაებრალებინათ, უფრო სწორად, არც მეტი, არც ნაკლები, კანდელაკმა პარლამენტისა და ნაციონალების უსახელო სახელის გასატეხად თვითონ ბიძინა ივანიშვილის დავალებით ისროლაო. მით უმეტეს, რომ ჭორი გამოვარდა, მეორე ზუსტად ასეთი საფერფლე ბიძინა ივანიშვილის შუშის სასახლის მისაღებშიც ყოფილა...

**P. S. ისე, ტერორიზმისკენ აშკარად მიდრეკილო კანდელაკის ბიჭო, რახან ვარჯიშზე მიდგა საქმე, ურიგო არ იქნება, თუ ტყვიის სროლაში ოლიმპიურ ჩემპიონს, ჩვენს სახელოვან ნინო სალუქვაძეს გაავარჯიშებინებ მაგ შენს მიზანს აცდენილ თავს...**

## ნეტავი, ქალის რა წილია შალვა შავგულიძეში და რა მამაკაცის წილი – ელენე ხოშტარიასა და თინა ბოკუჩავაში?

**მრავალ სიახლესთან ერთად საქართველოს მალე კონსტიტუციაც ექნება. ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე საგანგებო კომისია, რომელშიც თითქმის ყველა პარტიულ-პოლიტიკური სპექტრია წარმოდგენილი, უკვე კარგა ხანია მუშაობს და, როგორც ცნობილია, დღეს, 22 აპრილს საბოლოო კენჭისყრაა გადაწყვეტილი.** საბოლოო კენჭისყრაო, კი ვთქვით, მაგრამ ოპოზიციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთდროულად რამდენიმე კარგა მოზრდილი ქვა ააგდო, ოღონდ არც ერთმა თავისი საკუთარი თავი არ შეუშვირა. აშკარა საბოტაჟის მიზნით მაღლა აგდებული ქვა ყველამ თავისი გვერდით მდგომი პარტიის წარმომადგენლის თავს დაუმიზნა. იქნებ ძალიან დიდი ჭკუა-გონებით არ გამოირჩევიან, მაგრამ ამ ჩვენს ვირეშმაკა პარლამენტარებს იმდენი მამაძაღლობა კი ჰყოფნით, რომ თან ოპოზიციონერი ერქვას და თანაც კიდევ ქვების თავსხმაში არ მოიხვედროს მაღალანაზღაურებადი თავი (პრემიასა და დანამატზე აღარაფერს ვამბობ!).

როგორც უმრავლესობას, ასევე ცხადია, რა მიზანი ამოქმედებს ოპოზიციას. ერთსაც გამარჯვება უნდა და მეორესაც. უმრავლესობა, ბუნებრივია, უფრო ფრთხილად იქცევა, ჩაღუღუნებული სავარძლების დაკარგვა შეჩვეულისთვის, მოგეხსენებათ, ადვილი საქმე არ არის, ოპოზიცია კი რას კარგავს? თუ ბოლოს და ბოლოს, ამ ჩაღუღუნებულ სავარძლებში არ მოკალათდა, ადგება და იმ სავარძლებს სულაც შეშად იხმარებს, ცოტა ხელს მაინც მოითბობს.



ძირითადად და გარე მაყურებლის თვალით სწორედ ამ ორი ერთმანეთის გამომრიცხავი პოზიციიდან „ცხვება“ ქვეყნის ძირითადი კანონი, ანუ კონსტიტუცია, რომლის ამჟამინდელ სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრების მოტრფიალე ოპოზიციას ხელისუფლებაში მოხვედრის ერთადერთ მთავარ გზად მიაჩნია. ხელისუფლებაში მოხვედრა კი რასაც ნიშნავს, იცოცხლე, მთელი არსებით იციან. აბა, სხვა რა აწუხებს ბაქრაძეს, მელიას, სამადაშვილს, რატიანს, წერეთელს, ნადირაშვილს, წიკლაურს, ქარდავას, კანდელაკს, დავითაიას, ახვლედიანს, კაციტაძეს, ნათელაშვილს, გუდავას? ყველას რა ჩამოთვლის?! არ მითხრათ ახლა, უროსა და ნამგლის მაგივრად, ამათ ახლა თოხისა და ბარის გასიმბოლოება უნდათო!



ამ გრძელ სიაში დუშელი ლეიბორისტის სეხნია შალვა შავგულიძე განგებ გამოვტოვე, თავისუფალი დემოკრატების ახალგამოხანხლული თავმჯდომარე, რომელიც რატომღაც მუდამ კარგ მამულიშვილად მყავდა წარმოდგენილი, სანამ ერთ არამშვენიერ დღეს თავს არ გაიგიჟებდა, ახალ კონსტიტუციაში არამც და არამც არ უნდა შევიტანოთ ის მუხლი, სადაც ლაპარაკია, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ქორწინების შედეგიაო. როგორც პოლიტიკურ მოდას აყოლილმა ძველმა იურისტმა, მან „რუსთავი-2“-ის თაობაზე სტრასბურგის ფრიად საეჭვო გადაწყვეტილებაც ჭეშმარიტებად მიიღო. ახლა არ იკითხავთ, ეს ჩვენი თეთრგულა შავგულიძე თურმე რატომ იკლავს თავს ქალისა და მამაკაცის ქორწინების მუხლის კონსტიტუციაში არშეტანის გამო?

რატომ და, როგორც ჩანს, ამ ბოლო დროს ფროიდი ან სხვა რომელიმე მსოფლიო მნიშვნელობის ექიმი-ფსიქოლოგი თუ ფსიქოანალიტიკოსი წაუკითხავს და იმათ ნაწერებში ამოუკითხავს, ყველა მამაკაცში გარკვეული ოდენობით ქალია, ხოლო ქალში გარკვეული ოდენობით მამაკაციო. აი ხედავთ, რა აზრით იყურება თურმე ეს „თავისუფალი დემოკრატი“ ევროპისკენ. მოდი და გაიგე, თუ ბიჭი ხარ, ქალის რა წილია ამ ჩვენს შავგულიძეში, რომელიც აგრერიგად ეწინააღმდეგება რამდენიმე ათასწლოვანი ქალისა და მამაკაცის ქორწინების ქართულ ტრადიციას.



**P. S. რადგან ბევრად უფრო ძნელი დასადგენია, თუ მამაკაცის რა წილია „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელ ელენე ხოშტარიასა და ნაციონალ თინათინ ბოკუჩავაში, ამისათვის, ჩანს ამერიკის რომელიმე ფსიქოანალიტიკის ინსტიტუტს უნდა მივმართოთ.**

**გენდერული საკითხი, ბატონებო, ეტყობა, არც ეგრე ჰაიჰარად გადასაწყვეტი ყოფილა!**

**ასე რომ, კონსტიტუციაში შესატან მუხლებს ნუ ეხუმრებით, აქ პოლიტიკის გარდა, კიდევ ბევრი რამ არის ჩასაღრმავებელი. მე შენ გეტყვი, ადვილი გასაგებია, რომელზე რამდენი ქალისა თუ მამაკაცის წილი მოდის?!**

**ობოლო ქართველებო, თუ მართლა სუვერენულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნის, მარტო სტრასბურგის მართლმსაჯულებისა და ვენეციის კომისიის იმედად ნუ ვიქნებით! იმათ ჩვენისთანეები სხვაც ბევრი უობლიათ! ობლის კვერი კი, სიკარგისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ცხობით, ჩემზე კარგად იცით, ძალიან დიდხანს ცხვება.**

**გურამ გოგიაშვილი**

# „ბედი ბოროტი თქვენი ბედია!“

*...ამ ბოლო ხანებში ერთი და იმავე, ფსიქიკით მონათესავე ტიპაჟის მხრიდან იმძლავრა ბოდვებმა...*

*ცხოვრებისეული გამოცდილება გვასწავლის და ფსიქიატრები დაგვემოწმებიან: გაზაფხულის პირველ დღეებში იცის „ამ“ ავადმყოფობამ გამოვლინება. მით უმეტეს, თუ ხელისშემწყობი ფაქტორები არსებობს.*

*წელს დაემთხვა „რაღაც“ მოვლენები. სამწუხაროდ, ერთი ყველასათვის საყვარელი ადამიანის გარდაცვალებამ ერთობ გააშიშვლა არა მარტო ავადმყოფები, არამედ მათი რაოდენობა და მათი გამოჯანმრთელების... უიმედობა!*

*ყველაფრის თავი და თავი აღზრდის ნაკლოვანებებში უნდა ვეძებოთ, მავანის და მავანის ტრადიციულ (ეგებ, გენეტიკურ) შურიანობაში, გაუნელებელი ბოღმით აღსავსე გულებში, საკუთარი სრულფასოვნობის მიმართ ეჭვიანობასა და უსაფუძვლო ამბიციურობაში.*

*აბა, რა უნდა მოსთხოვო ტიპებს, რომლებიც საკუთარ დედას საჯაროდ ლანძღავენ, რომელთათვისაც შაურის ფასი აქვს საკუთარ ღირსებას, სიტყვის ერთგულებას და სხვა ადამიანურ ღირებულებებს...*

*არადა, ასეთ ტიპაჟს „დაპყრობილი“ აქვს ეკრანი, რადიოეთერი, გაზეთის ფურცლები... ჩამოტარებაზე არიან ე.წ. „ტოქ-შოუებში“, საიდანაც აფრქვევენ ლანძღვა-გინებას და, არც თუ იშვიათად, ოპონენტების ცემა-ტყეპაზედაც გადადიან...*

*არაერთგზის მითქვამს (სხვასაც ბევრჯერ), რომ არ ღირს ამ უზნეობასთან პაექრობაში შესვლა: ფუნას თუ ფეხი არ ჩაკარი, „სურნელებას“ არ „გამოუშვებს“. აი, ამ მიდგომით სარგებლობს ზოგიერთი ავადმყოფი და მიერეკება, მაგრამ რას მიერეკება...*

*წინაპართა (და არა მარტო) გამოცდილება გვასწავლის: ყველაფერს (მათ შორის, ბოდვებზე პასუხსაც) თავისი დრო აქვს, თავისი ფორმა და შინაარსი. შედეგიც ადეკვატური დგება. აუცილებლად!*

*ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, როცა გაეცნობით ფრაგმენტებს „მოგონებათა ყულაბიდან“. ეს ფრაგმენტები ადრე გამოვაქვეყნე. და მჯერა, რომ დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, რამეთუ სალიერები და „ნაბიჭვრები“ კვლავაც დიდხანს იქნებიან ჩვენში, ისევე, როგორც დიდი პოეტის და კიდევ უფრო დიდი კაცის — ირაკლი აბაშიძის მსგავსი ბუმბერაზი ეროვნული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი.*

## ირაკლი აბაშიძე: ღირს თუ არა ღირს?!.

წინა პუბლიკაციებში ვწერდი, რომ ბატონი ირაკლის ცხოვრება და მოღვაწეობა რთულ დროსა და რეალობაში უხდებოდა და, სწორედ იმ დროს იყო საჭირო ირაკლისეული სიბრძნე, რომლითაც კეთდებოდა დიდი საქმეები. ეს სიბრძნე ითხოვდა პოეტი-აკადემიკოსის აქტიურ როლს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. და ამ სფეროშიც ის გახლდათ ერთობ ანგარიშგასწევი ფიგურა. კაცი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე თავკაცობდა მწერალთა კავშირს, იყო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,„ქართული ენციკლოპედიის“ მთავარი რედაქტორი, რუსთაველის საზოგადოების პირველი თავკაცი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს (მაშინდელი პარლამენტის) თავმჯდომარე, ბუნებრივია, სერიოზული გავლენით სარგებლობდა. მით უმეტეს, ძლიერნი ამა ქვეყნისა თავადაც ილტვოდნენ მისკენ, ამაყობდნენ მასთან მეგობრობით.

ვასილ მჟავანაძე, მაშინდელი პრემიერი გივი ჯავახიშვილი, ნომინალური პრეზიდენტი გიორგი ძოწენიძე ბატონ ირაკლის უახლოეს მეგობრად თვლიდნენ. ეს გარემოება პოეტს აძლევდა იმის საშუალებას, რომ თავისი კოლეგებისთვის ბევრი სიკეთე გაეკეთებინა, ისევე, როგორც მწერალთა კავშირისთვის, მისი სტრუქტურებისთვის...

ბუნებრივია, სასიკეთო ლეგენდაც ბევრი დადიოდა და ირაკლი აბაშიძისადმი დამოკიდებულებას საზოგადოების დიდი ნაწილი სიყვარულით, მოწიწებითა და პატივისცემით გამოხატავდა.

მაგრამ ცხოვრება — ცხოვრებაა!

სიკეთისა და საქმის მკეთებელ კაცს ჩვენში არც მოშურნე და მოქილიკე დაელევა...

ჰოდა, ამ მხრივ გამონაკლისი არც ირაკლი აბაშიძე გახლდათ...

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთი პერიოდი ეს ცოცხალი ლეგენდა-კაცი საქართველოსაც კი განერიდა.

და მოხდა სასწაული: ირაკლი ისეთი პატივით მიიღო საბჭოთა კავშირის მწერლურმა ოჯახმა, ისეთი თანამდებობა და რეგალიები უბოძეს, რომ... საქართველოში ბევრს, მათ შორის, უმაღლეს ელიტაში, ძილი გაუტყდა. და ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდათ მაშინდელ ხელმძღვანელებს, რომ ირაკლი აბაშიძე ისევ თბილისს დაბრუნებოდა....

ამ პერიოდს ეკუთვნის ლექსი „სალიერები“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ჩემს გვერდზე გამოვაქვეყნე და ურიგო არ იქნება თუ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველიც გაეცნობა.

ალბათ, უპრიანი იქნება იმის გახსენებაც, რომ მიუხედავად ურთიერთკეთილგანწყობისა, ირაკლი აბაშიძის ავტორიტეტული ფიგურა — სამართავად ძნელი, მუდამ სიმართლის მთქმელი (და ამისთვის ყოველთვის ნახულობდა ზუსტ ფორმას და ტონს), პრინციპული, ამასთან დიდი ღირსების მატარებელი პოეტი ყველა ეპოქაში მეტ-ნაკლებად იყო პრობლემა. და ამ „პრობლემა-კაცის მოთვინიერებას“ მავანი და მავანი ზოგჯერ „აკრძალული ილეთით“ ცდილობდა. სამწუხაროდ, ამ „ილეთებს“ ზოგიერთი კოლეგა-მწერალი საკუთარი ინიციატივით იყენებდა, ზოგჯერ კი „დავალებას“ ნამეტნავად ენთუზიაზმით ასრულებდა... ირაკლი ასეთ „გამოხტომებს“ ფილოსოფიურად უცქერდა და ცდილობდა, კეთილშობილური განწყობით განემუხტა. ზოგჯერ სარკაზმს, ირონიას, იუმორსაც იშველიებდა.

ერთმა საკმაოდ ცნობადმა, მაგრამ ნიჭიერებით საშუალო დონის მწერალმა რომ მეტისმეტად გაუტია, ბატონმა ირაკლიმ „უსაყვედურა“: კაცო, მართლა რომ გავბრაზდე, თავი გადავდო , დრო დავკარგო და შენი ნაწერები ბოლომდე ჩავიკითხო, მერე სადღა მიდიხარო... ამ რეპლიკის შემდეგ ოპონენტი დაშოშმინდა.

... ერთ ლიტერატურულ ჟურნალში გამოქვეყნდა საკმაოდ უსიამოვნო წერილი ირაკლი აბაშიძის შესახებ. ქალაქი ალაპარაკდა.

* * *

...საღამო ხანია. ზარია ჩემთან. „ეგებ, ყველაფერი გადადო და სასწრაფოდ მნახო“, — ბრძანა ბატონმა ირაკლიმ. სახლის წინ დამხვდა. ეს დინჯი, ყოველთვის გაწონასწორებული კაცი შესამჩნევად იყო აღელვებული. გულისტკენა არ დამალა. თანაც უკვე იცოდა, რომ ამ უმსგავსობაში მაშინდელი ხელმძღვანელობის ხელიც ერია.

ქუჩის ლამპიონის ქვეშ ლექსი წამიკითხა და მთხოვა, გააკეთე ისე, რომ ეს ლექსი ხვალინდელ გაზეთში დაიბეჭდოსო.

მომეჩვენა, რომ ამის გაკეთება ამ ფორმით და ამ დღეს ირაკლის ავტორიტეტს არაფერს შემატებდა. ვნება კი შეეძლო მოეტანა. მთელი ჩემი მჭევრმეტყველება, ემოციები, ფიცი დამჭირდა, რომ ერთი დღით გადამედო ამ „საზღაურის“ გამოქვეყნება. დავითანხმე.

მეორე დილით მის უახლოესი მეგობრებთან აკადემიკოს შოთა ძიძიგურთან და პროფესორ დავით ჩხიკვიშვილთან ერთად „შეთქმულება“ დავგეგმეთ, რათა ირაკლის ამ ლექსის გამოქვეყნება გადაეფიქრებინა.

მანქანით მივდივართ „შეთქმულები“ და ის ის არის ამ თემაზე საუბარი უნდა დავიწყო... ბატონი ირაკლი კონვერტს მაწვდის და მეუბნება: შე „ჟულიკო“, ძალიან კარგად მესმის ეგ შენი ოინები და აჰა, ეს შენ გქონდეს და როცა საჭიროდ ჩათვალო, მაშინ გამოაქვეყნეო...

მას შემდეგ 33 წელზე მეტი გავიდა.

ამ უსიამოვნო „ისტორიის“ არცერთი მონაწილე და „შეთქმული“ (ჩემ გარდა) ამქვეყნად აღარ არის.

ირაკლის განქიქების დავალების გამცემები შემდგომ ნანობდნენ თავიანთ საქციელს. იმ ბრიყვული დავალების შემსრულებელმა, ქუთაისში, უნივერსიტეტში პოეტთან შეხვედრის დროს, ირაკლის უფროსი ვაჟიშვილის ზურაბისა და ჩემი თანდასწრებით, პატიება სთხოვა ბატონ ირაკლის. ის აშკარად წესიერი კაცი იყო და საოცარი გულწრფელობით განიცდიდა თავის შეცდომას...

მაგრამ, როგორც ფრანგები ამბობენ: „სე ლა ვი!“

ამიტომ ამ ისტორიის ბოლო აკორდიც ასაღებია და ლექსს ახლა მაინც ვაქვეყნებ. მიუხედავად იმისა, რომ აბაშიძეები ამ ფაქტს აღტაცებით არ შეხვდებიან. ვაქვეყნებ იმიტომ, რომ ეს არ არის ერთეული და გამონაკლისი შემთხვევა. არც ამ ერთი კონკრეტული ადამიანის მისამართით გაჟღერებული. არც მხოლოდ იმ დროისთვის დამახასიათებელი. ეს კლასიკაა. სამწუხაროდ, საქართველოსთვის, ყოველ შემთხვევაში მისი ერთი ნაწილისთვის მაინც, სისხლში და ხორცში გამჯდარი თვისება.

ბატონი ირაკლის პოეტური პასუხიც, ჩემი აზრით, კლასიკაა! უმაღლესი დონის კლასიკა და იგი, ხელნაწერის სახით (მხოლოდ ერთი სიტყვის გამოკლებით) ქვეყნდება პირველად!!!!



**ნუგზარ ფოფხაძე**

### იბეჭდება პირველად

## მიმღვნა ქართველ სალიერებს



სალიერებო! ხომ ცნობილია
თქვენი ნიჭი და თქვენი ხელობა —
თქვენ დააბრალეთ მოხუც ილიას
საგურამოში გლეხის მკვლელობა.
თქვენ ჩვენს მიწაზე შხამს აცემენტებთ,
ფიქრობთ — სიმართლეს ჭორი დაჯაბნის;
თქვენ დააბრალეთ ღმერთ-კაც წერეთელს
განადგურება ვანო მაჩაბლის.
ბედი ბოროტი თქვენი ბედია,
უოველ წყაროში ისვრით ანკესებს;
თქვენ მიგაჩნიათ თქვენს ტრაგედიად,
ქვეყნად თუ ვინმე საქმეს აკეთებს.
უოვლის აღრევა, უოვლის აღღვება
თქვენი საქმეა, ათას ფერებში;
თქვენი „ალერსი“ და ყურადღება
თუ მეც მომელის ამ სიბერეში, —
მაშინ მე გეტყვით, რა გზაც მივლია,
უნიჭოებო, ცარიელებო!
გეტყვით — მე მოვკალ დიდი ილია —
მეტი რა გინდათ, სალიერებო!
(მე თქვენი დედაც, სალიერებო!)

# მეცნიერის სულიერი და ფიზიკური სიდიადე

## ილია ვეკუა - 110

**ა.წ. 23 აპრილს სრულდება 110 წელი მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსისა და მექანიკოსის, აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადებიდან.**

იგი დაიბადა 1907 წელს დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, სამურზაყანოს სოფელ შეშელეთში. დაწყებითი განათლება მიიღო გალში, საშუალო სკოლა დაამთავრა ზუგდიდში, რის შემდეგაც ჩაირიცხა თბილისის სახელმწი-



ილია ვეკუა და ნიკოლოზ მუსხელიშვილი

ფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ასპირანტურის კურსი გაიარა სანკტ-პეტერბურგში გამოჩენილი რუსი მეცნიერის, აკადემიკოს ალექსეი ნიკოლოზის ძე კრილოვის ხელმძღვანელობით; 29 წლის ასაკში დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 32 წლისამ — სადოქტორო დისერტაცია; 39 წლისა გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1958 წელს კი საკავშირო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

მისი გამოკვლევები, როგორც წესი, ინიცირებული იყო მექანიკის ამოცანებით, გრძელდებოდა ფუნდამენტური გამოკვლევებით კომპლექსურ ანალიზში, სინგულარულ ინტეგრალურ და კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიებში და გვირგვინდებოდა გამოყენებით მექანიკაში. ავტორიტეტულ ჟურნალებში ყველა ამ მიმართულებით გამოქვეყნებული სტატიები ჯამდებოდა მონოგრაფიებით, რომლებიც რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ჩინურ და სხვა ენებზე ქვეყნდებოდა. ყველა მისი მონოგრაფია სახელობითი სახელმწიფო პრემიებით აღინიშნა. მათემატიკოსების დავით ჰილბერტის და რიხარდ კურანტის ცნობილ ორტომეულში „მათემატიკური ფიზიკის ამოცანების ამოხსნის მეთოდები“ გამოთქმული იყო სკეპტიკური მოსაზრება კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების ამონახსნების ზოგადი წარმოდგენების სარგებლიანობის თაობაზე. როგორც მოგვიანებით კურანტი აღნიშნავდა, მათი ეს მოსაზრება მათთვის მოულოდნელად სრულად გააქარწყლა ამონახსნების ზოგადი კომპლექსური წარმოდგენების გამოყენებით ელიფსური განტოლებებისთვის სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევის ილია ვეკუას მიერ შემუშავებულმა ახალმა მეთოდებმა.

ილია ვეკუამ და გამოჩენილმა ამერიკელმა მეცნიერმა ლიპმან ბერსმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შექმნეს განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორია, რაც იმის საფუძველი გახდა, რომ მათემატიკური დარგების საერთაშორისო კლასიფიკაციაში (MSC) შეტანილ იქნა დარგი— 30G20 Generalizations of Bers or Vekua type (ბერსის და ვეკუას ტიპის განზოგადებები). ასეთი პატივი მსოფლიოში გამოჩენილ მეცნიერთაგან მხოლოდ ზოგიერთს ერგო. აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი თავის ერთ-ერთ მონოგრაფიაში ხაზგასმით აღნიშნავდა ილია ვეკუას წამყვან როლს სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სრული თეორიის შექმნაში. თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ბოლო პერიოდი ილია ვეკუამ გარსთა მათემატიკური თეორიის ახალი ვარიანტების შექმნას მიუძღვნა; შესაბამის მონოგრაფიაზე მუშაობა მან მძიმე სენით შეპყრობილმა დაამთავრა. იგი აღესრულა 1977 წლის 2 დეკემბერს. მონოგრაფია რუსულად 1982 წელს გამოსცა გამომცემლობა „ნაუკა“-მ, ინგლისურად 1985 წელს — გამომცემლობა „პიტმან“-მა, ხოლო ქართულად 2007 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

ილია ვეკუა იყო საუნივერსიტეტო განათლების დიდი ორგანიზატორი, რაც მან ბრწყინვალედ გამოავლინა სხვადასხვა პერიოდში, როგორც თსუ-ს პროფესორმა, პრორექტორმა და რექტორმა, მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა და პირველმა რექტორმა.



რიხარდ კურანტი და ილია ვეკუა

1972-1977 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად მისი მოღვაწეობისა და 1966-1977 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კიბერნეტიკის ფაკულტეტისა და გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში ილია ვეკუა წარმოჩნდა როგორც მეცნიერების თვალსაჩინო ორგანიზატორი. მას ეამაყებოდა, რომ აღნიშნულ ინსტიტუტს იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის სამხრეთში უმძლავრესი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ყველაზე დიდი პარკი ჰქონდა, რამაც ხელი შეუწყო ქართველ მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა, ეკონომისტთა და სხვათა გამოკვლევებში კომპიუტერული მეთოდების გამოყენებას. ილია ვეკუას სამეცნიერო და პედაგოგიურ პრინციპებზე დაფუძნებულ ამ ინსტიტუტში იმთავითვე ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდნენ ინსტიტუტის მკვლევრები, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. ეს პრინციპები ინსტიტუტმა აქამდე შეინარჩუნა, რაც სრულად ეხმიანება განათლებისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრაციის დღეს მიმდინარე პროცესს. ილია ვეკუა იყო მრავალი, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო შეკრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე და წევრი.

ილია ვეკუამ ყველგან და ყველა სფეროში, სადაც კი მოღვაწეობდა, წარუშლელი კვალი დატოვა. უკვდავია მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელსაც დღესაც ანვითარებენ მისი მოწაფეები, მოწაფეების მოწაფეები და მიმდევრები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

ილია ვეკუა იყო უდიდესი საზოგადო მოღვაწე და პიროვნება. მასში გაერთიანებული იყო სულიერი და ფიზიკური სიდიადე. სწორედ ამიტომ მიეჩინა მას სამუდამო სასუფეველი ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა კაბინეტი;**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი.**



საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის ნოვოსიბირსკის ერთობლივი კონფერენციის მონაწილეები, აგვისტო, 1963. პირველ რიგში მარცხნიდან მეათე — ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა.

## გიწვევთ!

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და უმაღლესი საბჭო 2017 წლის 24 აპრილს 15:00 საათზე გიწვევთ გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე.**

**სხდომის დღის წესრიგი:**

**გახსნა და შესავალი სიტყვა — აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი;**

**ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე;**

**მოხსენებები: სიტყვა აკადემიკოს ილია ვეკუაზე — აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;**

**აკადემიკოს ილია ვეკუას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიიდან — პროფესორი თემურ ჩილაჩავა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულების ხელმძღვანელი;**

**აკადემიკოს ილია ვეკუას მეცნიერული მემკვიდრეობა — პროფესორი გიორგი ჯაიანი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი;**

**გამოსვლები და მოგონებები: გურამ ბოკუჩავა აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი;**

**პროფესორი ჰამლეტ მელაძე;**

**პროფესორი ილია თავხელიძე.**

მისამართი: რუსთაველის გამზ. 52; მეცნიერებათა აკადემიის მე-5 სართულის სხდომათა დარბაზი.

№83. შაბათი, 22 აპრილი, 2017 წელი.

# დიმიტრი ქუმსიშვილი აშშ-ში საქმიან შეხვედრებს მართავს

## მსოფლიო ბანკისგან 100 მლნ აშშ დოლარის ჩარიცხვას ველოდებით

**„ყველა რეფორმა, რომელთა განხორციელებასაც მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობის შეთანხმება ითვალისწინებდა, წარმატებით შესრულდა,** — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტ სირილ მიულერთან შეხვედრის შემდეგ.

პირველი ვიცე-პრემიერი აშშ-ში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიურ საგაზაფხულო შეხვედრაში მონაწილეობს, რომლის დროსაც საქართველოს მაკროეკონომიკური საკითხებისა და საინვესტიციო პოტენციალის შესახებ შეხვედრებს მართავს როგორც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, ისე კერძო ინვესტორებთან.

პირველი ვიცე-პრემიერის ინფორმაციით, განვლილი პროგრამების შედეგები და ახლის ძირითადი მიმართულებები მსოფლიო ბანკის საბჭოს შეკრებაზე განიხილება, რომელიც მიმდინარე თვის ბოლომდე გაიმართება.

**„მთავრობის რეფორმების მხარდასაჭერად, ჩვენ ძალიან მალე ველოდებით 50 მლნ აშშ დოლარის ოდენობის საბიუჯეტო დახმარების ჩარიცხვას მსოფლიო ბანკისგან. ამავე დროს, აღნიშნული საფინანსო ინსტიტუტიდან ზაფხულის მეორე ნახევარშიც ამდენივეს მიღებაა განსაზღვრული,“** — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

## „FITCH-ის“ მიერ პოზიტიურად შეფასდა ის ფისკალური პოლიტიკა, რომელიც ქვეყანაში ხორციელდება

**„სარეიტინგო კომპანია „Fitch-ის“ მიერ პოზიტიურად შეფასდა ის ფისკალური პოლიტიკა, რომელიც ქვეყანაში 2016 წლის ნოემბრიდან ხორციელდება,“** — ამის შესახებ პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა სარეიტინგო კომპანია „Fitch-ის“ მაღალი მენეჯმენტის წარმომადგენლებთან ტონი სტრინგერსა (Tony Stringer) და რიჩარდ ფრენსისთან (Rochard Francis) შეხვედრის შემდეგ გააკეთა. შეხვედრა ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ვიცე-პრემიერის სამუშაო ვიზიტის ფარგლებში შედგა. მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და რეგიონში არსებული მაკროეკონომიკური ვითარება, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.



დიმიტრი ქუმსიშვილმა სარეიტინგო კომპანიის მმართველ დირექტორს მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმა და აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები გააცნო, რომლებმაც ქვეყანაში უნდა უზრუნველყოს მდგრადი ეკონომიკური ზრდა.

## ახალი რეგულაციები მოსამართლეების შეურაცხყოფის ფაქტებზე

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ევა გოცირიძის წინადადებას, მოსამართლეების შეურაცხყოფის საკითხთან დაკავშირებით დაიწყოს მსჯელობა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია დადებითად აფასებს.

**„ამას არავითარი სახე არა აქვს არც კანონპროექტის და არც რაიმე საკანონმდებლო წინადადების. მოსაზრების, დისკუსიისა და განსჯის ეტაპზე საუბარია, რომ გარკვეული ზღვარი იყოს დაცული გამოხატვის თავისუფლებასა და იმ დასაშვებ კრიტიკას შორის, რომლის მიღმა უკვე შეიძლება სასამართლოს შეურაცხყოფის, ან ზემოქმედების შემადგენლობა იყოს. „სისხლის სამართლის კოდექსში“ მოქმედი ნორმაა, რომელიც სასამართლოს საქმიანობაში ჩარევას, ან ხელის შეშლას ეხება და ეს ისედაც დასჯადი ქმედებაა, მაგრამ რაც შეეხება გამოხატვის თავისუფლებას, თქვენ იცით, რომ კონვენცია და კონსტიტუცია ამ უფლებას იცავს, მაგრამ ეს აბსოლუტური უფლება არ არის. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება აქვს და შეგვიძლია, აქედან ვიხელმძღვანელოთ, როდის შეიძლება კრიტიკა დასაშვებად ჩაითვალოს და როდის ირღვევა ადამიანის პატივი და ღირსება. ამ თემაზე დისკუსიის გახსნა ურიგო არ იქნება“,** — განმარტა ბესელიამ ჟურნალისტებთან საუბარში.

## აფხაზი ჟურნალისტები ჟენევის დისკუსიების გაშუქებაში ჩართვას ითხოვენ

**ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნული საკითხის დაყენებას ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებთან გეგმავს და იმედოვნებს, რომ შეთანხმება მიღწეული იქნება.**

დაურ კოვეს თქმით, აფხაზი ჟურნალისტების მონაწილეობა ხელს შეუწყობს მოლაპარაკებების დღის წესრიგის უფრო ფართოდ გაშუქებას, რადგან პროცესის ყველა მონაწილესთან იქნება გასაუბრების საშუალება. **„პრესას არ შეუძლია, შეხვედრებში მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ შესაძლებელია, რომ დისკუსიების მონაწილეებს შედეგებზე გაესაუბრონ, მე ვფიქრობ, რომ შეთანხმებას მივაღწევთ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შევეცდებით“,** — განაცხადა დაურ კოვემ.

## მარიხუანას მოხმარებისთვის სანქციები შემსუბუქდება

**პარლამენტში დღეს ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაზე მსჯელობენ. სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების მიხედვით შემსუბუქდება მარიხუანის მოხმარებაზე დაწესებული სანქციები.**

ცვლილებების მიხედვით, პირველი შემთხვევის დროს აღარ მოხდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება, ასევე იცვლება კანაფის დიდი ოდენობის, ასევე მარიხუანას დიდი ოდენობის განსაზღვრება.

კანაფის შემთხვევაში დიდი ოდენობა 50 გრამის ნაცვლად განისაზღვრება 140 გრამის ოდენობით, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობა 250 გრამის ნაცვლად 1000 გრამით.

მარიხუანას შემთხვევაში დიდი ოდენობა 50 გრამის ნაცვლად განისაზღვრება 70 გრამით, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობა განისაზღვრება 140 გრამის ოდენობით.

**„ხდება ლიბერალიზაცია იმიტომ, რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მარიხუანასა და მცენარე კანაფისთვის და მეორე მხრივ, სხვა ნარკოტიკებისთვის. კონკრეტულად მარიხუანასა და მცენარე კანაფისთვის დიდ ოდენობამდე არ იქნება გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა და ასევე არ იქნება მცირე ოდენობაზე ადმინისტრაციული პატიმრობაც. ასევე ეხება მცირე ოდენობით მარიხუანას ან კანაფის კულტივაციას,“** — განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძემ.

## ავტოსატრანსპორტო საშუალებების კვლევა



შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრმა საქართველოში რეგისტრირებული, ასევე იმპორტირებული და რეექსპორტირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ კვლევა ჩაატარა. კვლევისას გათვალისწინებული იყო: დინამიკა ავტოსატრანსპორტო საშუალებების კონკრეტული მახასიათებლებით; ავტოპარკის განახლებისა და გაახალგაზრდავების ტენდენციები; ავტოსატრანსპორტო საშუალებების განაწილება რეგიონების მიხედვით, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, ასევე, ფიზიკურ პირთა სქესის და ასაკის მიხედვით.

კვლევის თანახმად, საქართველოში ავტოპარკი ყოველწლიურად იზრდება. 2016 წელს ზრდის მაჩვენებელმა 8% შეადგინა, ხოლო 2014 წელთან შედარებით, ქვეყანაში ავტომობილების რაოდენობა 16,8%-ით გაიზარდა.

ავტოპარკის 81,6%-ს მსუბუქი (მაღალი გამავლობის ჩათვლით) ავტომანქანები შეადგენს.

ავტოპარკის დიდი ნაწილი 10 წელზე ძველია, თუმცა იზრდება 4-6-წლიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა.

მსუბუქი ავტომანქანების უმრავლესობა (45%) სედანის ტიპისაა, თუმცა 2016 წელს უფრო მეტი მოთხოვნა იყო „ჰეჩბეკი“ ძარის ტიპის მქონე ავტომანქანებზე.

თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მოქალაქეთა ხვედრითი წილი რეგიონების მიხედვით 3-დან 4-მდე მერყეობს.

2016 წლის განმავლობაში ავტომანქანების იმპორტის მოცულობა 4,7%-ით გაიზარდა. იმპორტირებული ავტომანქანების 18% დიზელის ძრავიანია, 0,8% - აირზე მომუშავე, ხოლო ჰიბრიდების იმპორტმა 4-ჯერ მოიმატა. 2016 წელს იმპორტირებულია 34 ელექტრომობილი.

მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების იმპორტმა მთელი იმპორტის 38,9% შეადგინა.

## მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემა ძალაში 1 ივლისიდან შევა

**საქართველოს პარლამენტმა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში ცვლილებები ერთხმად დაამტკიცა.**

კანონპროექტს მესამე მოსმენით უყარეს კენჭი და მას 89 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი არავინ ყოფილა. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში ცვლილებებითა და თანდევი პროექტების პაკეტის თანახმად, შემოდის მართვის მოწმობაზე 100-ქულიანი სისტემის მინიჭების წესი. თითოეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელიც მართვის მოწმობის მფლობელის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში იქნება ჩადენილი, გამოიწვევს მართვის მოწმობაზე მინიჭებული 100 ქულიდან სამართალდარღვევის ტოლფასი ქულის გამოკლებას. კალენდარული წლის განმავლობაში სამართალდარღვევების გამო ქულების 0-მდე შემცირება ერთი წლით მართვის უფლების შეჩერებას გამოიწვევს. აღნიშნული ვადის გასვლამდე, პირი მართვის უფლების აღდგენას შეძლებს მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, ხოლო თუ მას ერთი კალენდარული წლის განმავლობაში მეორედაც ამოეწურა მინიჭებული ქულები, იგი მიმდინარე კალენდარული წლის დასრულებამდე ველარ შეძლებს გამოცდის ჩაბარების გზით მართვის უფლების აღდგენას.

შს მინისტრის მოადგილის შალვა ხუციშვილის განცხადებით, საგზაო უსაფრთხოების შესახებ კანონი ძალაში 1 ივლისიდან შევა.

**„მესამე მოსმენით განვიხილეთ „საგზაო უსაფრთხოების შესახებ კანონი“. ეს კანონი ძალაში შევა 1 ივლისიდან. ჩვენ სწორედ ამ დროიდან გვექნება ქულათა სისტემა მართვის მოწმობაზე, ასევე ამოქმედდება უკონტაქტო პატრულირება. უკვე დავიწყეთ მუშაობა, რომ მოვემზადოთ ამ კანონის აღსრულებისთვის. ორი თვე ჩვენ დავიტოვეთ, რათა მოქალაქეებს სწორად განვუმარტოთ, რომ მათ ჰქონდეთ ინფორმაცია რა ახალი წესები იქნება, როგორ აღსრულდება ეს წესები“,** — განაცხადა შალვა ხუციშვილმა.



# ჩვენი მირონცხებული ხელმწიფენი

## ქართლის მეფენი

## დავით X

უფროსი ძე კონსტანტინე II-ისა, ქართლის მეფე 1505-1525 წ.წ.. ბუნებით იყო „ლმობიერი, ბრძოლა-შლილობათა და შფოთის მოძულე და მოყვარე მშვიდობისა“. დავითმა სამხედრო რეფორმა გაატარა. ქართლი 4 სადროშოდ დაჰყო: მეწინავე სადროშო – ქვემო ქართლი (სარდალი – ბარათაშვილი), მემარჯვენე სადროშო – ზემო ქართლი (სარდალი – ამილახვარი), მემარცხენე სადროშო – სამუხრანბატონო,



ქსან-არაგვის საერისთავოები, (სარდალი – მუხრანბატონი), მეფის სადროშო – მტკვრის მარჯვენა მხარე ტფილისიდან ტაშისკარამდე (სარდლობდა მეფისგან დანიშნული თავადი, უფრო ხშირად ციციშვილი).

1510 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე II ქართლში გადმოიჭრა. და გორი დაიჭირა. მაშინ იმერეთს ოსმალები შეესივნენ და ალექსანდრე იძულებული გახდა, გორი დაეტოვებინა და სასწრაფოდ იმერეთს დაბრუნებულიყო.

1511 წელს კახეთის მეფე გიორგი II (ავგიორგი) შემოიჭრა ქართლში და ატენში მყოფი დავით მეფე ალყაში მოაქცია, მაგრამ ქართლელთა ჯარმა მოუსწრო და ავგიორგიმ უკან, კახეთში გაქცევა ამჯობინა. კახეთიდან ახალი შემოსევის საფრთხე მაინც რჩებოდა. ამით ისარგებლა დავით მეფის ძმამ ბაგრატმა და ჩააცივდა მეფეს: „მომეც მე საუფლისწულოდ და დროშად მუხრანი, მასთან ქსნისა და არაგვის ხეობანი და მე აღვკვეთავ ავგიორგის თავგასულობას“. მეფე დათანხმდა და ასე დაიწყო არსებობა მუხრან ბატონთა სადროშო საგვარეულომ. ბაგრატ პირველმა, ამჯერად უკვე მუხრანბატონმა, ქსნის მარცხენა მხარეს, მაღალ მთაზე აღმართა დიდი ციხე – „მტუერის ციხე“.

მართლაც წამოვიდა ავგიორგი კახთა ჯარით. ქსნის ამ ახალ ციხეს მიადგა. ვერ აიღო. უკან გაბრუნებისას ბაგრატ მუხრანბატონმა უეცარი დარტყმით შეიპყრო იგი და იმავე მტუერის ციხეში ჩააგდო, სადაც ჩაკვდა კიდეც (1513 წ.). უმეფოდ დარჩენილი კახეთი დავითმა შემოიერთა.

1518 წელს ირანის შაჰმა ისმაილმა დიდძალი მხედრობა გამოაგზავნა ქართლში დივ-სულთან რუმლუსა და სამცხის ათაბაგ ყვარყვარე III-ის სარდლობით. შემოჭრისთანავე სურამი და გორი აიღეს. დავითმა ირანელთა მთავარსარდალს თავისი ძე რამაზ ბატონიშვილი აახლა დიდძალი ძღვენით. დივ-სულთან რუმლუმ ძღვენი მიიღო, რამაზ ბატონიშვილი მძევლად წაიყვანა და საქართველოდან წავიდა.

ქართლის გაჭირვებით კახეთმა დრო იხელთა და აქამდე გადამალული ლევან უფლისწული კახეთის ტახტზე გაამეფა. შაჰ ისმაილმა კი რამაზ ბატონიშვილი გამოუშვა და ქართლისგან ხარკი იკმარა. – წელიწადში 300 საპალნე აბრეშუმი. შაჰმა მალე „დამატებით“ ქართლის მეფეს ირანში გამოცხადება და მაჰმადის რჯულზე გადასვლა მოსთხოვა. დავითმა ამაზე გადაჭრილი უარი შეუთვალა. მაშინ, 1522 წელს თვითონ შაჰ ისმაილი წამოემართა საქართველოსკენ დიდძალი მხედრობით. თელეთთან დიდი ბრძოლა მოხდა. თავი გამოიჩინა ლუარსაბ ბატონიშვილმა (მომავალი მეფე ლუარსაბ I), რომელმაც მარჯვენა ფლანგიდან შეტევით დაამარცხა და გააქცია ყარაფილის სარდლობით მოიერიშე ირანელთა მხედრობა. მაინც იმძლავრა შაჰ ისმაილმა: ტფილისს მოადგა და ქალაქის თავის ღალატის წყალობით აიღო. შაჰ ისმაილი 1524 წელს მოკვდა. დავით მეფემ ტფილისი დაიბრუნა და ქართლი მტრისგან გაწმინდა. იმავე წელს დავითი მეფობიდან გადადგა და დამიანე ბერის სახელით ღვთისმსახურებას შეუდგა. მალე კიდეც გარდაიცვალა (1525 წ.). გადადგომისას მეფობა ძმას გიორგის დაუტოვა.

## გიორგი IX

ძე კონსტანტინე II-ისა, მომდევნო ძმა დავით X-ისა, ქართლის მეფე 1524-1527 წლებში. იმეფა ძალზე უფერულად, ძლიერი ძმისწულის უფლისწულ ლუარსაბის ჩრდილში 1527 წელს გიორგიმ მეფობა ლუარსაბს შეატოვა და თვითონ გერასიმე ბერად აღიკვეცა. გარდაიცვალა 1534 წ.

## ლუარსაბ I

დიდი ხელმწიფე, უფროსი ძე დავით X-ისა, ქართლის მეფე 1527-1556 წლებში. „მხნე, ახოვანი, შემართებული, უშიში, მორწმუნე, ღვთისმოყვარე, საღმრთო, სამხედროთი სრული“. 1522 წელს დიდი გმირობა გამოიჩინა თელეთთან ბრძოლაში. ლუარსაბს გამეფებამდეც ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმერეთის სამეფო კართან. 1526 წელს ცოლად შეირთო იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ასული თამარი.

1538 წ. ირანის მაშინდელი ხელმწიფე შაჰ თამაზ I დიდი არმიით მოადგა საქართველოს. მოვიდა და ქართველ მეფეთა მასთან გამოცხადება მოითხოვა. მაშინვე ეახლნენ ლევან კახთა მეფე და სამცხის ათაბაგის ძე ქაიხოსრო. არ გამოცხადდნენ ქართლისა და იმერეთის მეფენი.

შაჰ თამაზი ტფილისისკენ წამოემართა 12 000 დარჩეული მეომრით. ლუარსაბ მეფე, მეუღლით, ოჯახით გლოვაში იყო – ახალგარდაცვლილი ყრმა უფლისწული ესვენა მცხეთის სვეტიცხოველში. ტფილისის ციხისთავი ქალაქის კედელზე თოკით დაუშვა და შაჰ თამაზს ქალაქის გასაღები მიართვა. ირანელები ტფილისშიც ჩადგნენ და ქართული დასახლებების ძარცვა-აწიოკება დაიწყეს. ლუარსაბმა გლოვა მიატოვა, ჯარი შეჰყარა და მტერს დაედევნა და დიდგორის ახლოს სასტიკად დაამარცხა მაოხარნი.

თამაზ შაჰმა ახალი მხედრობა გამოგზავნა საქართველოში. ლუარსაბი „პარტიზანულ“ („თარეშულ“) ომზე გადავიდა. შაჰ თამაზი ასეთ ომს განერიდა. 1554 წელს შაჰ თამაზი მეოთხედ შემოესია საქართველოს, ისევ ციხისთავის ღალატით ტფილისი კვლავ დაეცა. ლუარსაბ მეფე მაშინ იმერეთს იყო. შაჰმა შეიტყო, რომ ატენის ციხეში ლუარსაბის დედა დედოფალი ნესტან-დარეჯანი იმყოფებოდა და მაშინვე ალყაში მოაქცია. ატენის ალყა გაჭიანურდა, შაჰსაც იმედი გადაეწურა და ის იყო უნდა უკუქცეულიყო, რომ ვინმე ბეთიაშვილის სულმოკლეობის მიზეზით, ციხე შიგნიდან გატყდა. შაჰმა ლუარსაბის დედა, და და ბევრი წარჩინებული ოჯახის შვილი ტყვედ აიყვანა. შაჰი ნაძარცვითა და 30 ათასი ტყვით (უმეტესად ქალები და ბავშვები) ყარაბაღისკენ გაეშურა.

ლუარსაბ მეფე იმერეთიდან გვიან გადმოვიდა, მტრის არიერგარდს კი დაეწია და სისხლიც ადინა, მაგრამ ტყვეები ვერ გამოიხსნა. დედოფალი ნესტან-დარეჯანი ტყვეობას ვერ შეეგუა, საწამლავი დალია და სული განუტევა. ლუარსაბი ქართლის ციხეებში ჩარჩენილ ირანულ ციხიონებს დაერია და გაჟლიტა.

1556 წელს შაჰ თამაზის დავალებით ქართლს დიდი საომარი ძალებით შემოესია განჯა-ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი შაჰვერდ სულთან ზიად-ოღლი. ბრძოლა მოხდა სოფელ გარისთან. უკვე მხცოვანმა ლუარსაბ მეფემ ბრძოლის ხელმძღვანელობა თავის უფროს ძეს 19 წლის სვიმონს მიანდო. სვიმონი ბრძოლას ბრწყინვალედ წარუძღვა და ბრწყინვალედაც გაიმარჯვა. ოღონდ ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაიღუპა თვითონ ლუარსაბ მეფე. დაკრძალეს მცხეთაში.



## სვიმონ I

ქართლის დიდი მეფე (1556-1600 წ.წ.), უფროსი ძე დიდი მეფის ლუარსაბ I-ისა, 19 წლისა თვითონ მამამ გამოაცხადა მეფედ გარისის ველზე, ბრძოლის წინ. მომდევნო ძმამ დავითმა არ ცნო მისი მეფობა, ირანში გაიქცა, მაჰმადიანად მოინათლა და დაუდ ხანი დაირქვა და სულ ებრძოდა სვიმონს.

1561 წელს ციხედიდთან, ძეგვის მახლობლად, ქართველებს ბრძოლა მოუხდათ ყიზილბაშებთან. ყარაულის უფროსის გერმანოზიშვილის უჭკუობის და უთაურობის შედეგად ქართველებმა ბრძოლა წააგეს. 1557 წელს დიღომთან დაუდხანი ყიზილბაშთა ჯარით და სვიმონ მეფე ქართული ლაშქრით ერთმანეთს შეებნენ, სვიმონმა გაიმარჯვა მაგრამ დაუდხანმა ტფილისში შეასწრო და შეიკეტა. სვიმონმა ყიზილბაშებს ტფილისი ვერ გამოსტაცა. 1568 წელს სამადლოზე დაეტაკნენ ერთმანეთს ძმები, ისევ სვიმონმა გაიმარჯვა, მაგრამ დამარცხებულმა ისევ ტფილისში შეასწრო. 1569 წელს კი ფარცხისთან გაიმართა დიდი ბრძორლა. უზარმაზარ თურქულ-ყიზილბაშურ ურდოს მეგზურად წარმოუძღვა კახაბერ



ყორღანაშვილი. მაშინ, როცა ქართველები უკვე იმარჯვებდნენ, მტრის შუაგულში შეჭრილ სვიმონ მეფეს ყორღანაშვილისგან ჩასაფრებულმა ყიზილბაშებმა ზურგიდან დაუშინეს, ცხენიდან ჩამოაგდეს, ტყვედ აიყვანეს და ირანის გზას გაუყენეს. იგი ალამუთის ციხეში ჩააგდეს, სადაც 9 წელი გაატარა.

ამ ცხრა წელიწადში საქართველოში ირანი დაკნინდა და ოსმალეთი მომძლავრდა. ირანის ახალი შაჰის ხუდაბანდეს კარი მიხვდა, რომ საქართველოდან ოსმალთა გამოდევნის საქმეს ისევ სვიმონი თუ მოუვლიდა. ამიტომ ირანელებმა სვიმონი 1578 წელს გაათავისუფლეს. აქედან იწყება სვიმონის გმირული ბრძოლები ქართლიდან ოსმალების განსადევნად. ბევრი ციხე გაწმინდა ოსმალთაგან, მათ შორის ლორე და გორი. 1583 წ. სვიმონმა აიღო და ოსმალთაგან გაწმინდა ტფილისი. ამის შემდეგ გაათავისუფლა სამშვილდე, დმანისი. 1584 წ. კვლავ გამოჩნდა ოსმალთა 30000-იანი არმია რეზვან ფაშას სარდლობით. ბრძოლა მოხდა ალგეთის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელ ხატისსოფელთან. სიმონი 4000 ქართველით დილაუთენია დაეცა მძინარე მტერს, უმრავლესობა ამოწყვიტა, ბევრი ტყვედა აიყვანა, ბევრი გაიქცა და გადაიკარგა.

1588 წელს სვიმონმა ქუთაისის ტახტის გარშემო ატეხილი ხმაური შეიტყო და სასწრაფოდ იქით დასძრა ლაშქარი, დაამარცხა იმერთა მეფე ლევანი და ლეჩხუმს გააქცია. სვიმონმა იმერეთი თავისად დაიგულა და ქართლში ისევ ოსმალებთან საომრად გაბრუნდა. მაგრამ იმერეთი სვიმონის წასვლის შემდეგ კვლავ დამოუკიდებელ სამეფოდ აღდგა. კიდევ ორჯერ გადავიდა სვიმონი იმერეთს, მაგრამ ბოლოს ოფშკვითის ბრძოლაში ძლეული გამობრუნდა უკან (1590 წ.) და აღმოსავლეთ-დასავლეთ ქართველთა გაერთიანების ფიქრზე საბოლოოდ ხელი აიღო.

ოსმალეთის ხელისუფლებამ სვიმონის წინააღმდეგ საგანგებო ღონისძიებას მიმართა. 1599 წელს სულთანმა მეჰმედ III-ემ ქართლის საბოლოოდ მოსათხრელად უზარმაზარი მხედრობა გამოგზავნა თავრიზის და ვანის ბეგლარ-ბეგის ჯაფარ ფაშას სარდლობით. ბრძოლა, რომელიც ალგეთზე, ნახიდურთან გაიმართა, რიცხობრივად სრულიად უთანასწორო იყო. ოსმალებმა მასირებული ცეცხლი გახსნეს. ქართველები უკუიქცნენ. ვიწრო ბილიკზე ვინმე თულაშვილი უნებლიედ გვერდიდან დაეძგერა და მეფე ხევში გადაჩეხა. მეფე ცხენით მეწყერში ჩაეფლო და ოსმალებმა შეიპყრეს. ტყვე სტამბულს ჩაიყვანეს. ბევრს ეცადნენ, მაგრამ რჯული ვერ შეაცვლევინეს, ვერც დახარკვაზე დაიყოლიეს.

მისმა ძემ გიორგიმ არაფერი დაზოგა მამის გამოსახსნელად ქრთამიც ბევრი გააგზავნა და მძევლებად შვილებიც გაიმეტა – უფლისწული დავითი და მშვენიერი ასული გულჩარა (შემდეგში ოსმალეთის კარზე განთქმული დიპლომატი), მაგრამ ამაოდ. 1603 წელს სვიმონი გარდაიცვალა ტყვეობაში. გამეფდა 19 წლისა, ტყვეობაში გაატარა 12 წელიწადი, იმეფა 35 წელი, აღესრულა 66 წლისა. იმ დროს სტამბოლში მყოფმა ვაჭარმა დიაკვნიშვილმა „იშოვნა ძვალნი სვიმონ მეფისანი, წამოიღო და მიართვა გიორგის და დედუფალ ნესტან-დარეჯანს“. დაკრძალეს მცხეთაში, მამის ლუარსაბის გვერდით.

**ამოკრიბა ალეკო ასლანიშვილმა**

*(გაგრძელება იქნება)*

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №236, 241 (2016), №2, 8, 20-21, 33, 67, 74-75.**

◉ საფლავებით პოლიტიკური ვაჭრობა



# რუსეთის „ველურობა“ კონფლიქტის ზონაში

**კონფლიქტის ზონაში რელიგიურ დღესასწაულებს სხვა ტკივილი ახლავს. ჩვეულებრივობა აქ ფუფუნებაა. რაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ყოველი მორწმუნისთვის ხელმისაწვდომია, კონფლიქტის ზონაში აკრძალული და შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტიან კონტროლს ახორციელებს და საქართველოს მსგავსად ქრისტიანული ქვეყანაა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქრისტიანული დღესასწაულის სრულფასოვნად აღნიშვნის უფლებას არ აძლევს ერთმორწმუნე, მშვიდობიან ადამიანებს.**

აღდგომის მეორე დღეს, ტრადიციულად, გარდაცვლილებს პატივს მიაგებენ და საფლავებზე გადიან. ამ ტრადიციას საქართველოში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. კონფლიქტის ზონაში კი ახლობლების, მეგობრებისა თუ წინაპრების საფლავების მონახულება დიდი ფუფუნებაა. რუსეთი ამ უფლებას არ გასცემს. ნათესავები ეგრეთ წოდებული, გამყოფი ხაზის მიღმა დარჩენილ საფლავებზე გასვლას ვერ ახერხებენ. ეს საკითხი მუდმივად წამოიჭრება ხოლმე საერთო შეხვედრებზე, რაც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში ტარდება, ასევე ჟენევაში, მაგრამ რუსეთი შეუვალია.

კონფლიქტის ზონაში ეს ტკივილი უჩინრად არსებობს. ის საერთოა თითქმის ყველა ოჯახისთვის, რომელიც იქ ცხოვრობს და რომელიც დევნილად იქცა. ეს ხმა ვერმიწვდენილი საფლავების გამო არსებული სევდაა, მაგრამ კიდევ უფრო ღრმა და უფრო მწვავე, ვიდრე უბრალოდ სევდა.

ადამიანები, ვინც „ამერიკის ხმამ“ ჩაწერა, სწორედ ამ ტკივილს ატარებენ. **ლია ჩლაჩიძე** ერგნეთში ცხოვრობს. აღდგომა მისთვის განსაკუთრებული დღესასწაულია. მის ოჯახში კვერცხები წითლად იღებება და სააღდგომო პასკა ცხვება, მაგრამ მისი რელიგიური რიტუალი მნიშვნელოვანი დეტალის გარეშე ტარდება. „შარშან ვიყავი აქ, ერგნეთში, მამისაანთუბანში, ეგრეთ წოდებულ გამყოფ ხაზთან, აღდგომის დღესასწაულის მეორე დღეს, როდესაც მიცვალებულების დღე აღინიშნება. ყვავილები, კვერცხები და სანთლები წავიღე, ხელი ღობის ქვეშ შევყავი და ისე დავანთე ეს სანთელი. ამინდმაც გამიმართლა, სანთელი არ ჩაქრა და ბოლომდე ჩაიწვა. მართალია, ცრემლების ყლაპვით, მაგრამ ისეთი კმაყოფილი ვიყავი და ისეთი კმაყოფილი წამოვედი იქიდან, მეგონა, მთელ იქით დარჩენილ მიცვალებულებს მივაგე პატივი, ყველას მაგივრად“.

ჩვენთან საუბრისას ლია ჩლაჩიძე ამბობს, რომ პოლიტიკოსებმა არ უნდა შეამცირონ ძალისხმევა, რაც საფლავების მონახულების უფლების მოპოვებისკენაა მიმართული. მას რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ საჭიროებაზე მხოლოდ რელიგიური დღესასწაულების წინ საუბრობენ მოლაპარაკების მაგიდის ირგვლივ მსხდომი ადამიანები. „ყოველთვის ყურადღებით ვადევნებ თვალ-ყურს ერგნეთის შეხვედრებს, სადაც მუდმივად აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ ადამიანებს მისცენ უფლება, მივიდნენ ახლოს მდებარე სასაფლაოებზე. მაგრამ არასოდეს ეს საკითხი არ წყდება. მახსენდება, შარშან, ოსური დელეგაციის ხელმძღვანელმა დათო სანაკოევმა განაცხადა, „მაინცდამაინც აღდგომის წინა დღეს რატომ აყენებთ ამ საკითხს, მთელი წლის განმავლობაში რატომ არ მუშაობთ ამის შესახებო“ და ძალიან მეწყინა ეს ამბავი. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითონ გაძლევენ აქეთ ნიშანს, რომ შენ ეს საკითხი ერთჯერადად კი არ აღნიშნო, მუდმივად იმუშაო მასზე. მუდმივად არ უნდა მოასვენო, არ უნდა დაასვენო და უთხრა, რომ არაა ნორმალური ადამიანს ახლობლის საფლავზე მისვლის საშუალება არ მისცე. რაღაც ველურობასთან გვაქვს საქმე. პოლიტიკაში გადააქვთ ეს ჩვენი ყოველდღიური, ყოფითი საკითხი“.

**მანანა ჭამპურიძე** ცხინვალიდან დევნილია. მისი ახლობლების საფლავებიც გამყოფი ხაზის მიღმა აღმოჩნდა, მაგრამ მას არ ტოვებს ადამიანური თანადგომისა და მეგობრობის იმედი იმ ხალხის მხრიდან, ვინც ხაზის მეორე მხარეს ცხოვრობს და სჯერა, რომ მისი ახლობლების საფლავები წითელი კვერცხისა და დანთებული სანთლის გარეშე არ დარჩება: „საკუთარი სახლები ხომ გვადარდებს, მაგრამ საფლავების საკითხი უფრო მეტად მტკივნეულია ჩვენთვის, რადგან საფლავი წმინდა ადგილია, სადაც ჩვენი მამა-პაპის ძვლები განისვენებენ. აღდგომის დღეებში ტკივილიც, სევდაც, მონატრებაც უფრო მწვავდება. 2004 წლამდე ჩვენ კიდევ ვახერხებდით შესვლას და მამაჩემის საფლავის მონახულებას ცხინვალში, აღდგომის დღესასწაულზე. მინდა გითხრათ, რომ რამდენჯერაც ჩვენ მივდიოდით იქ, საფლავი გაწმენდილი, დასუფთავებული გვხვდებოდა. ახლაც ამიტომ ვამბობ, რომ იმედი მაქვს, ეს ისევ ასე გრძელდება. ჩვენ არავის ვთხოვდით ამის გაკეთებას, ამას უთქმელად აკეთებდნენ მამას მეგობრები. ყოველთვის მაქვს იმედი, რომ იქითა მხარეს ისევ არიან ის მეგობრები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, მამას საფლავზე აუცილებლად მივლენ, კვერცხებს გააგორებენ და სანთლებსაც დაანთებენ.“

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება განცხადებებს აკეთებს იმის შესახებ, რომ მათი რესპუბლიკა რუსეთთან გაერთიანდება. შეგახსენებთ, რომ სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების რუსულთან გაერთიანების პროცესი უკვე დაწყებულია. შესაბამისად, რუსეთისთვის საფლავები ადამიანურ, ჰუმანიტარულ, ან თუნდაც რელიგიურ საკითხს კი არა, პოლიტიკური ვაჭრობის საგანს წარმოადგენს.

„Radio Voice of America“ (აშშ)



## მაქსიმ შევჩენკო: აფხაზებო, თავს ნუ მოიტყუებთ!

პორტალ „Кавказская политика“-ს მთავარი რედაქტორი, რუსეთის პრეზიდენტთან არსებული ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრი მაქსიმ შევჩენკო აფხაზებს ურჩევს, „თავს ნუ მოიტყუებენ: საქართველო რუსეთისთვის უმნიშვნელოვანესი პოტენციური სტრატეგიული პარტნიორი და უმნიშვნელოვანესი მიზანია“.

**„აფხაზეთს ვერ განვიხილავთ კავკასიის იმ დიდი რეგიონისგან განცალკევებით, რომელიც, ვთქვათ, სამხრეთით არაქსით იწყება და ჩრდილოეთით დონისპირა მიწებით მთავრდება. რუსეთი დღეს სტრატეგიული კავკასიური პოლიტიკის ჩამოყალიბებას ცდილობს. ამ მოდელში აფხაზები ჩვენი მეგობრები არიან და ჩვენ მათზე პასუხს ვაგებთ, მაგრამ აფხაზეთი ამ დიდი სისტემის მხოლოდ ერთი პატარა ნაწილია. ჩემი აზრით, რუსეთმა, როგორც იქნა, გააცნობიერა, რომ კავკასია მთლიანად შედის მისი სასიცოცხლო ინტერესების სფეროში და ვუშვებთ რა კავკასიაში უცხოეთის როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ წარმოდგენილობას (მაგალითად, ნატოსას, ან იგივე თურქეთისას — მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ჩვენთვის მტრული სახელმწიფო არ არის), რუსეთი რისკავს, კავკასია დაკარგოს. აფხაზეთის მიმართ გარკვეული უდავო პრეფერენციების სანაცვლოდ რუსეთს, ჩემი აზრით, საერთოკავკასიურ სტრატეგიულ დიალოგში, სტრატეგიულ დარეგულირებაში აფხაზეთის გონივრული მონაწილეობის იმედი აქვს. და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ (რუსეთს) საქართველოსთან ომი გვქონდა, თავს ნუ მოიტყუებთ: საქართველო რუსეთისთვის პოტენციურად უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია და უმნიშვნელოვანესი მიზანი. კავკასიაში რუსეთი სწორედ საქართველოს კვალდაკვალ მოვიდა. სწორედ ქართველმა თავადებმა მოიყვანეს კავკასიაში რუსეთის იმპერია. ისინი არც შერვაშიძეები იყვნენ და არც ჩაჩბები — ამ დინასტიების მიმართ ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხედავად. და მიუხედავად ყველა შეცდომისა, რომელიც რუსეთმა დაუშვა იმპერიის პერიოდშიც და შემდგომშიც, და რამდენიც არ უნდა ისაუბრონ იმაზე, რომ რუსეთის საყრდენი კავკასიაში სომხეთია ან ოსეთი, რუსეთის იმპერიული პოლიტიკის საყრდენი კავკასიაში ყოველთვის მართლმადიდებელი საქართველო იყო. დარწმუნებული ვარ, ამ ისტორიული, სტრატეგიული გზის მიღმა არაფერი იქნება“,** — განაცხადა შევჩენკომ აფხაზეთის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდის მსვლელობისას.

მან შეახსენა დამსწრე საზოგადოებას, რომ „საქართველოსთვის ყოველთვის მიდიოდა ბრძოლა რუსეთსა და თურქეთს შორის, გარკვეულ პერიოდებში მასში ირანიც მონაწილეობდა“.

**„ოდესღაც ეს ბრძოლა ზარბაზნების გამოყენებით წარმოებდა, ახლა — ფულისა და პოლიტიკური სვლების. ასე, რომ, ჩვენ, რაღა თქმა უნდა, ვერ დავუშვებთ, რომ საქართველო, როგორც ეს სააკაშვილის დროს იყო, ერთგვარ თურქულ ფილიალად იქცეს და ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ობიექტი საქართველოში თურქებს ეკუთვნოდეთ — თურქების მიმართ ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხედავად. ეს უბრალოდ არ შედის რუსეთის პოლიტიკური ინტერესების სფეროში“,** — დასძინა შევჩენკომ.

## ელიზაბეტ მეორე 91 წლის გახდა



**ბრიტანეთის დედოფალი იუბილარია. ელიზაბეტ მეორეს დღეს 91 წელი შეუსრულდა. დედოფლის დაბადების დღეს ლონდონის ჰაიდ-პარკსა და თაუერზე ტრადიციული ზალპით აღნიშნავენ. მონარქი კი დღეს ოჯახის წევრებთან ერთად გაატარებს. 91-ე დაბადების დღეს მას ტრადიციულად შოკოლადის ტორტით მიულოცავენ.**

## არკანზასში სასიკვდილო განაჩენი აღასრულეს

**შეერთებულ შტატებში სიკვდილით კიდევ ერთი ადამიანი დასაჯეს. ლედელა ლის სასიკვდილო განაჩენი არკანზასის უმაღლესმა სასამართლომ გამოუტანა. ლის ბრალი მეზობელი ქალის დებრა რიზის მკვლელობაში დასდეს. თვის ბოლომდე არკანზასში სიკვდილით კიდევ 6 მსჯავრდებულს დასჯიან, რაც ბოლო 12 წლის განმავლობაში აღარ მომხდარა.**

## დორტმუნდელი თავდამსხმელი რუსეთის მოქალაქეა

**ეს ინფორმაცია ცოტა ხნის წინათ გერმანიის გენერალურმა პროკურატურამაც დაადასტურა. თავდასხმა საფეხბურთო კლუბ ბორუსიაზე 11 აპრილს განხორციელდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა კლუბის ავტობუსთან ამოქმედდა, რის შედეგადაც ერთი ფეხბურთელი დაშავდა. პოლიციამ ტერაქტში ეჭვმიტანილი 28 წლის ახალგაზრდა უკვე დააკავა. წინასწარი ინფორმაციით, მას ორმაგი მოქალაქეობა აქვს.**

## ესტონეთში ნატოს ბატალიონი განლაგდა

**ესტონეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, გაერთიანებული ოპერატიული ჯგუფი რუსეთის აგრესიისგან ბალტიის ქვეყნების და პოლონეთის დაცვას ისახავს მიზნად. ბრიტანულ ბატალიონს უახლოეს მომავალში ფრანგი სამხედროებიც შეუერთდებიან. ესტონეთში, პოლონეთში, ლიტვასა და ლატვიაში დამატებითი სამხედრო კონტინგენტის განთავსების შესახებ გადაწყვეტილება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გასული წლის ზაფხულში მიიღეს.**

## დიორმა ტოკიოში ახალი მაღაზია გახსნა

**დიორის მოდის სახლმა ტოკიოში ახალი მაღაზია გახსნა, სადაც პირველი ქალი დიზაინერის მარია გრაცია კიურის ნამუშევრები წარადგინა. კიური დიორის სახლის შემოქმედებით გუნდს შარშან ივლისში შეუერთდა. მანამდე ის 20 წლის განმავლობაში ვალენტინოს სახლში მუშაობდა. საგანგებოდ ტოკიოს მაღაზიისთვის დიზაინერმა ახალი კოლექცია შექმნა. მისი შთაგონების წყაროდ ალუბლის ყვავილობა და დიორის 1953 წლის კოლექცია, სახელწოდებით „იაპონური ბაღი“ იქცა.**



ჩემპიონთა ლიგა

# წილი ნაყარია




**შვეიცარიის ქალაქ ნიონში გუშინ გამართული კენჭისყრით ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონის ნახევარფინალური ეტაპის მონაწილენი დაწყვილდნენ. დიდ ინტერესს იწვევს მადრიდული დერბი „რეალი“ — „ატლეტიკო“. აღსანიშნავია რომ ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგაზე ზედიზედ მეოთხე წელია ხვდებიან ერთმანეთს.**

**„რეალი“ (ესპანეთი) — „ატლეტიკო“ (ესპანეთი)**

**„მონაკო“ (საფრანგეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია)**

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩები 2/3 და 9/10 მაისს გაიმართება. რაც შეეხება ფინალურ შეხვედრას, იგი 3 ივნისს კარდიფში ჩატარდება.

**გიორგი შოთაძე**

ევროპა ლიგა

# გზად — ელიტისკენ

**როგორც მოგეხსენებათ, რანგით მეორე საკლუბო ევროტურნირის გამარჯვებული ავტომატურად მოიპოვებს ჩემპიონთა ლიგის საგზურს. ეტყობა, ამ ფაქტორმაც განაპირობა საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრების უკომპრომისო ხასიათი — სამ წყვილში უძლიერესი დამატებითმა დრომ, მათ შორის ერთი სულაც პენალტების სერიამ გამოავლინა.**

„ბეშიქთაში“ — „ლიონი“ 2:1 (1:2, პენალტებით 6:7),
„მანჩესტერი“ — „ანდერლეხტი“ 2:1 (ძირითადი დრო 1:1, 1:1),
„შალკე“ — „აიაქსი“ 3:2 (ძირითადი დრო 2:0, 0:2),
„გენკი“ — „სელტა“ 1:1 (2:3).

გუშინდელმა კენჭისყრამ რჩეულთა კვარტეტი ასე დააწყვილა:
„აიაქსი“ — „ლიონი“,
„სელტა“ — „მანჩესტერი“.

ამ ეტაპის შეხვედრები 4 და 11 მაისს გაიმართება, ხოლო ფინალურ მატჩს 24 მაისს სტოკჰოლმი უმასპინძლებს.

**კობა კობახიძე**




კალათბურთი

# რეკორდიც ამას ჰქვია

**გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის პლეი-ოფის სამი შეხვედრა გაიმართა.**

„ინდიანა“ შინ „კლივლენდთან“ 114:119 დამარცხდა. მასპინძლები პირველი ტაიმის შემდეგ 25 ქულით იგებდნენ, მაგრამ „კავალიერზმა“ ნბას პლეი-ოფის რეკორდი დაამყარა და მეორე ტაიმში 25-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა. წინა რეკორდად 1948 წელს „ბალტიმორის“ მიერ „ფილადელფიასთან“ 21-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება ითვლებოდა. „კლივლენდის“ მოგებაში ლომის წილი ლებრონ ჯეიმსმა დაიდო, რომელმაც სამმაგი დუბლი შეასრულა — 41 ქულა, 13 მოხსნა, 12 პასი. ლებრონს პლეი-ოფში სულ 5670 ქულა დაუგროვდა, კობი ბრაიანტს (5640) გადაასწრო და მესამე ადგილზე აინაცვლა. მეორე ადგილი ქარიმ აბდულ-ჯაბარს (5762 ქულა) უკავია, პირველზე კი მაიკლ ჯორდანია — 5987. „კლივლენდი“ სერიას 3:0 იგებს და მეოთხე მატჩი ინდიანაპოლისში 23 აპრილს თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება.




„მილუოკი ბაქსმა“ საკუთარ დარბაზში „ტორონტო“ 104:77 გაანადგურა. ვისკონსინელებმა მატჩის ბედი პირველივე პერიოდში გადაწყვიტეს, რომელიც 32:12 მოიგეს. „მილუოკიმ“ გუნდური კალათბურთი ითამაშა და მისმა ექვსმა წევრმა 10 და მეტი ქულა ჩააგდო. მათ შორის ყველაზე მეტი, 20 ქულა, მიდლტონმა დააგროვა. „ბაქსი“ სერიას 2:1 იგებს.

„მემფისმა“ შინ „სან ანტონიო“ 105:94 დაამარცხა. მატჩში გადამწყვეტი მესამე პერიოდი აღმოჩნდა, რომელიც „დათვებმა“ 31:17 მოიგეს. ყველაზე მეტი, 24 ქულა მაიკლ კონლიმ დააგროვა, 21-21 ქულა რენდოლფს და მარკ გაზოლს ჰქონდათ, ხოლო „სან ანტონიოში“ 18 ქულით კავაი ლეონარდი გამოირჩა. ტეხასელები სერიას 2:1 იგებენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

სახელი

# თანავარსკვლავედელი

**ქართულ კალათბურთს ვარსკვლავები არასდროს ჰკლებია. შინ თუ გარეთ მათი ვირტუოზული თამაშით მოხიბლული მაყურებელი აღტაცებას ვერ ფარავდა და გასახდელისკენ მიმავალთ ტაშით მიაცილებდა. რჩეულთა შორის განსაკუთრებული ადგილი გურამ მინაშვილს ეკავა.**

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ ვცხოვრობდი, — გაიხსენა ერთხელ ჩემთან საუბრისას ბატონმა გურამმა, — სასწავლებლის ეზოში, დღეს რომ სპორტული დარბაზია, ღია მოედნები იყო; პატარა ბიჭები მოუთმენლად ველოდით ნოდარ ჯორჯიკიას, ვახტანგ ანანიაშვილის, დავით გოძიაშვილის, გედევან ხელაიას, ცქიტო კალანდაძის, გივი რუხაძის სარბიელზე გამოჩენას. თამაშების საყურებლად უფროსებიც მოდიოდნენ. ყველას ჩვენი კერპი გვყავდა. მე ყოველთვის ნოდარ ჯორჯიკიას ვქომაგობდი. მაშინ რას ვიფიქრებდი, თუ ეს ბრწყინვალე კალათბურთელი და დიდებული პიროვნება ჩემი ერთ-ერთი მასწავლებელი გახდებოდა, მით უმეტეს, მის გვერდით თუ მომიწევდა თამაში...



მეექვსე კლასში ვიყავი, კალათბურთის სექციაში რომ ჩავეწერე. საღამოობით უნივერსიტეტის კალათბურთის ღია მოედანზე ვვარჯიშობდი. დილაობით, სკოლაში წასვლამდე ერთი საათით ადრე, მე და ჩემი მეზობლები — თამაზ ტოგონიძე, ილარიონ ხაზარაძე, გიზო გაბესკირია, ასტამურ აჩბა, მირიან თოფჩიშვილი და სხვები მოედნისკენ გავრბოდით. რომ გვეზარმაცა, მწვრთნელი ვარჯიშზე არ დაგვიშვებდა, ამიტომ კარგად ვსწავლობდით. სხვა ჯილდოებზე ნაკლებ როდი მეამაყება საშუალო სკოლის ოქროს მედალი.

მწვრთნელებშიც ბედი მწყალობდა: შალვა დიასამიძე, მიხეილ კეკელიძე, ბოლოს „დინამოში“ — გიორგი ავალიშვილი, აი, ის დიდებული პედაგოგები, ვისი მეოხებითაც პიროვნებად და სპორტსმენად ჩამოვყალიბდი და 1953 წელს თბილისის „დინამოში“ აღმოვჩნდი. იმ წელიწადს ჩვენმა გუნდმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, მაგრამ მე უმედლოდ დავრჩი, რადგან, როგორც ახალბედა, უმეტესად სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, ჩატარებული მატჩების რაოდენობა კი მედლის მისაღებად საკმარისი არ აღმოჩნდა, თუმცა, გული არ დამწყვეტია: ჩვიდმეტი წლის ჭაბუკისთვის „დინამოში“ ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, ჯუმბერ ნიჟარაძის, ლევან ინწკირველის, ალექსანდრე კილაძისა და სხვათა გვერდით თამაში ისედაც დიდი ბედნიერება იყო“.

## დაკარგული მსოფლიო

„ჩემს სპორტულ კარიერაში ყველაზე გულდასაწყვეტი ორმოცდაცხრამეტ წელს მსოფლიო ჩემპიონობის დაკარგვა იყო. მაშინ სანტიაგოში მე და გურამ აბაშიძე საბჭოთა კავშირის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, საერთოდ უმედლოდ დავრჩით, არადა, იმ ჩემპიონატზე ამერიკელებიც კი დავამარცხეთ... ჩვენი „ოქროები“ პოლიტიკურ ინტრიგას შეეწირა. წართმეული ჯილდოს ერთგვარი „კომპენსირება“ იმავე წლის ივნისში შევძელი — სტამბოლში ევროპის ჩემპიონატზე მეორედ მოვიპოვე ოქროს მედალი (პირველად — 1957 წელს სოფიაში, მესამედ — 1963 წელს ვროცლავში — ვ.დ.).

მახსოვს, სტამბოლში ცხრა თამაში მოვიგეთ. ფინალში ფრანგებს შევხვდით, რომლებიც ჩემპიონატის გახსნის დღეს დიდი ანგარიშით დავამარცხეთ. განმეორებითი შეხვედრისას თავიანთი ლიდერის ჟაკ ლეფევრის მეთაურობით შეუპოვარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, თანაც მათ მხარდასაჭერად უამრავი გულშემატკივარი მოვიდა — იმ დღეს სტამბოლში ფრანგების გემი ჩამოდგა და სპორტის სასახლე მეზღვაურებით აივსო. მაყურებელთა ყიჟინით გამხნევებული ფრანგები ერთი პირობა დაწინაურდნენ, მაგრამ მალე უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაუქრათ, საბოლოოდ 88:72 გავიმარჯვეთ და ევროპის ჩემპიონობა შევინარჩუნეთ“.

## ოლიმპიურ ვერცხლზე ძვირფასი ჯილდო

„ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ყველა სპორტსმენის ოცნებაა. ასეთი ბედნიერება მეც მერგო. 1960 წელს რომის ოლიმპიადაზე საბჭოთა ნაკრები ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდა. ჯგუფში პუერტორიკოელებთან გამარჯვების შემდეგ ფინალურ ეტაპზე გავედით. ამ შეხვედრისას საინტერესო ამბავიც მოხდა — ჩვენი ერთ-ერთი იერიშისას, როცა ანგარიში იყო 96:63 და თამაშის დამთავრებამდე ორი წუთიღა რჩებოდა, ვლადიმერ უგრეხელიძემ ბურთი მეტოქის კალათში „ჩატენა“ და თავად რგოლს ჩამოეკიდა. უეცრად ფარის კონსტრუქცია გადაქანდა და წაიქცა. უგრეხელიძე და ვალტინი, რომლებიც ფართან ახლოს იდგნენ, თვალის დახამხამებაში რკინის კარკასის ტყვეობაში აღმოჩნდნენ. საბედნიეროდ, არც ერთი არ დაშავებულა. ფარის აღდგენას დიდი დრო დასჭირდა და კალათბურთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩი ჩვენ მოვიგეთ — 100:63. ოქროს მედლებისთვის შეხვედრა ამერიკელებთან დავთმეთ — 57:81. რომში მათ, ტრადიციულად, შესანიშნავი გუნდი ჰყავდათ: რობერტსონი, ლუკასი, უესტი, დისჩინგერი. ბოლო პაექრობაში მასპინძლებს ვაჯობეთ და მეორე ადგილი დავიკავეთ“.

იტალიელებთან ორთაბრძოლის ეპიზოდებს იხსენებს იმ მატჩის მონაწილე **ვლადიმერ უგრეხელიძე**: „ვერცხლის მედლების მოსაპოვებლად არა მარტო იტალიელთა ძლიერი გუნდი უნდა დაგვემარცხებინა, არამედ ტიფოზების გამაყრუებელი ყიჟინისთვისაც გაგვეძლო. გავუძელით. როცა დავწინაურდით, უფროსმა მწვრთნელმა სპანდარიანმა გურამი ორჯერ უმიზეზოდ შეცვალა. მან ვერ მოითმინა და მწვრთნელს შეეპასუხა, რის გამოც სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. ამან ხელ-ფეხი გაუხსნა მასპინძელთა ლიდერს ალეზინის. მისი გარღვევების შეჩერებას ვერავინ ახერხებდა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა. ყველანი ვგრძნობდით, რომ მოედანზე გურამი უნდა გასულიყო, მაგრამ მწვრთნელი მისკენ არც იხედებოდა. მაშინ ბალტიისპირელი კალათბურთელები — ვალდმანისი, მუიჟნიეკსი და კრუმინში სპანდარიანთან მივიდნენ და მინაშვილის მოედანზე დაბრუნება მოითხოვეს. მწვრთნელი იძულებული გახდა დაყაბულებულიყო. ალეზინის „ჩაკეტვამ“ ცუდად იმოქმედა მასპინძელთა გუნდზე. მატჩი 78:70 მოვიგეთ“.

**გურამ მინაშვილი:** „ოლიმპიური თამაშების მედალი ყველა ათლეტისთვის მეტად საპატიო და სანუკვარია, მაგრამ ჩემს სპორტულ კარიერაში ყველაზე ძვირფას ჯილდოდ მაინც 1962 წელს ჟენევაში თბილისის „დინამოს“ მიერ მოპოვებული ევროპის ჩემპიონთა თასი მიმაჩნია — მაშინ ფინალში მადრიდის „რეალი“ დავამარცხეთ — 90:83. ეს იყო ქართული გენის უმაღლესი გამოვლინება. დიდმა ქართველმა ემიგრანტმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემაც, რომელიც ჟენევაში ესწრებოდა გადამწყვეტ პაექრობას, ეს გამარჯვება სწორედ ასე შეაფასა“.

## პრინციპების ერთგული

„ერთი დაუვიწყარი ეპიზოდიც მინდა გავიხსენო: 1959 წლის საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრების სამმა კალათბურთელმა ხუთ ლატვიელს მოუგო. მერედა, არ იკითხავთ, ვინ დავამარცხეთ — ვალდმანისი, კალნინში, მუიჟნიეკსი, გულბისი, დავიდისი, კრუმინში — აღიარებული ოსტატები. კალათბურთის ისტორიაში ეს არის უნიკალური და განუმეორებელი შემთხვევა. მახსენდება ერთი მატჩიც. რომის ოლიმპიადაზე თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ფრანგები ოთხნი დარჩნენ ხუთი ჩეხის წინააღმდეგ და სამი ქულით წააგეს ორთაბრძოლა...

ხშირად უკითხავთ ჩემთვის, კალათბურთს ნაადრევად ხომ არ დაანებეთო თავი: ცხოვრებაში ჩემი პრინციპები მქონდა, ბევრ დროს ვატარებდი მოედანზე, ხშირად - მარტოც, მკაცრ რეჟიმს ვიცავდი, ვერ ვიტანდი სიზარმაცეს. სამოციანი წლების ბოლოს შევატყვე, რომ უწინდებურად მთელი დატვირთვით ვეღარ ვვარჯიშობდი, ახალგაზრდები კი კაპიტნისაგან იღებდნენ მაგალითს. მწვრთნელი ჩემ გამო სხვებსაც ვერ საყვედურობდა. ასე გაგრძელება აღარ შემეძლო, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე გუნდიდან წასვლა“.

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ გურამ მინაშვილი წლების განმავლობაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას ხელმძღვანელობდა.

სახელოვანი კალათბურთელი 2015 წელს გარდაიცვალა.

**ვაჟა დანელია**

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 1** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 87 300 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუხის მიმდებარე მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 11 706 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 170,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 6 053 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| | დრო და თარიღი | |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 2** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) მოპოვებითი სამუშაოების დროს გზის ინფრასტრუქტურის დაზიანების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოახდინოს მისი რეაბილიტაცია.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლეწურწუმეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 74 400 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლეწურწუმეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 9 976 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 997,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 188 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 3** | | |
| ნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია (გზის დაზიანების შემთხვევაში) უზრუნველყოს საგზაო ინფრასტუქტურის აღდგენა.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზუბის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობზე „ზუბი"-ს ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 210 000 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზუბის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 28 158 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2815,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 14 279 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) სალიცენზიო ობიექტზე არსებული ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი |

| | | |
|---|---|---|
| | | კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. იცქისის მიმდებარე ტერიტორია, „იცქისის“ კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 3 900 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. იცქისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 678 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 67,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 539 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ''გარემოს დაცვის შესახებ'', ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ'' და ,,წიაღის შესახებ'', საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუფოთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჩხარის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 6 100 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუფოთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 061 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 106,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 731 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის 2017 წლის 31 მარტის №3249/1 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დროს არ დააზიანოს სალიცენზიო ობიექტის სიახლოვეს არსებული წყალმომარაგების მილი.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ''გარემოს დაცვის შესახებ'', ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ'' და ,,წიაღის შესახებ'', საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. სართიჭალას მიმდებარე ტერიტორია, მდ. იორის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 98 100 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. სართიჭალას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 13 154 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 315,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 6 777 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 7** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, შემოვლითი გზებით და არა სოფლის საავტომობილო გზების მეშვეობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული სოფლის საავტომობილო გზის დაზიანება და მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში.<br>ე) მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული საავტომობილო გზის დაზიანების შემთხვევაში, მოხდეს მისი აღდგენა ლიცენზიანტის მიერ. |

| | | |
|---|---|---|
| | | დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცხვარიჭამიის მიმდებარე ტერიტორია, მდ. თეზამის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 2 400 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცხვარიჭამიის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 417 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 41,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 409 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 8** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 |
| | | ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფშაველის მიმდებარე ტერიტორია, მდ. სტორის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 6 300 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფშაველის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 096 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 109,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 748 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №9** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქ საგარეჯოს ტერიტორია, მდ. იორის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 32 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქ საგარეჯოს ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 316 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 531,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 858 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 10** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს სამთო საქმისათვის მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით.<br>გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის |

| | | |
|---|---|---|
| | | მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გომბორის მიმდებარე ტერიტორია, „გომბორის“ კვარციანი ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 2 250 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გომბორის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 391 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 39,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 396 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 11**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ზუგდიდი, სოხუმის ქ. N79, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 650 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ზუგდიდი, სოხუმის ქ. N79 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 259 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 12**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, შემოღობვა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფ. შულავერის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 10 950 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფ. შულავერის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 354 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 35,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 377 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 13**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს |

| | | |
|---|---|---|
| | | უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ფოთი, ხეივანი კოკაია, N1, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 10 000 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ფოთი, ხეივანი კოკაია, N1 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 323 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 32,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 362 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 14**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით |
| | | და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ზუგდიდი, გამსახურდიას ქუჩა, N218, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1000 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ზუგდიდი, გამსახურდიას ქუჩა, N218 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 32 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 216 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 15**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის |
| | | მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ზუგდიდი, შოთა ხუბულავას ქუჩა, N13, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 5 500 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ზუგდიდი, შოთა ხუბულავას ქუჩა, N13 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 178 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 17,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 289 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 22 მაისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დღესასწაული

# კვირაცხოვლობა

## მოციქულ თომას კვირიაკე – აღდგომის განახლება




**23 აპრილს მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელი სამყარო და მათ შორის საქართველოს წმიდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს კვირაცხოვლობას, აღდგომის განახლებას, ახალ კვირიაკეს.**

...ცნობილია, რომ აღდგომის კვირას იესო ქრისტემ ყველა მოციქული ნახა, თომას გარდა. თომა გვიან მოვიდა, მოწაფეებმა უთხრეს: „ჩვენ უკვე ვნახეთ უფალი!“ ურწმუნო თომამ ეს არ დაიჯერა. ერთი კვირის შემდეგ მოწაფეები ისევ შეიკრიბნენ, თომაც, მათთან ერთად იყო. იესო ქრისტე კვლავ გამოეცხადა და უთხრა „მშვიდობა თქვენ“, მერე კი თომას მიმართა: „მომეცი ხელი და შეახე ჭრილობას ჩემი გვერდისას და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ იყავი „მორწმუნე“.

ნიშანდობლივია ის, თუ რა წერია გადმოცემაში: თომამ შეჰღაღადა: **„უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“**. იესო ქრისტემ უთხრა: „შენ ირწმუნე, რადგანაც მნახე, მაგრამ ნეტარ არიან ისინი, რომლებმაც არ მიხილეს და მირწმუნეს“.

რაც შეეხება დღესასწაულის აღნიშვნას, ის ძველად საქართველოში დილაადრიანად იწყებოდა, ანჩისხატის ეკლესიასთან მოასვენებდნენ ხატს, წირვა-ლოცვის შემდეგ კი იმართებოდა სახალხო დღესასწაული – სანახაობა, ჯირითი, ცეკვა-თამაში და სხვ.

ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში ტაძარში პატარა მაგიდაზე დადებული საგანგებოდ გამომცხვარი პური „არტოსი“ განსაკუთრებულ მადლს იძენს წმიდა ადგილას, რომელსაც მორწმუნეებს კვირაცხოვლობას ურიგებენ არტოსი კურნავს სულს და ხორცს.

სრულიად საქართველოს შეეწიოს კვირაცხოვლობის მადლი!

**გიული ლიპარტია**

# პატარებმა დედამიწის დღე აღნიშნეს

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორთან თემურ თორდინავასთან ერთად 92 -ე საბავშვო ბაღში იმყოფებოდა.**



დედამიწის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბაგა-ბაღების აღსაზრდელებმა სტუმრებისთვის აქცია-პერფომანსი წარმოადგინეს. საბავშვო ბაღის ეზოში ბავშვებმა წიწვოვანი სახეობის ნერგები მინისტრთან ერთად დარგეს. აქციას დიდუბის რაიონის გამგებელიც ესწრებოდა.

სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ 2015 წელს სკოლამდელი განათლების სტანდარტში შევიდა ცვლილება და აისახა გარემოსდაცვითი კომპონენტი.

2016 წელს შეიქმნა ახალი სახელმძღვანელო – „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“. 2016 წლის სექტემბრიდან ახალი სახელმძღვანელო – „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ – ოფიციალურად დაინერგა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში.

„სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ ეტაპობრივად, საქართველოს ყველა რეგიონში დაინერგება.

ეპიტაფია

# გენო კალანდიას არდავიწყება



ჩვიდმეტ- ჩვიდმეტი წლისანი გენო კალანდია და დილარ ივარდავა. ზუგდიდი, 1957 წელი.

გენო კალანდია და მე თანატოლები გახლდით. ადრინდელი სიყმაწვილიდან სათუთი, მგრძნობიარე დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდა ერთმანეთისადმი, რაშიც მამამისს, ძია ვალოდიას დიდი წვლილი მიუძღვის. თუმცა, მაინც პოეტურმა მუხტმა და ზუგდიდის რაიონული გაზეთის „მებრძოლის“ რედაქტორმა, მრავალჭირგამოვლილმა, სამამულო ომის ვეტერანმა, ჭეშმარიტმა ინტელიგენტმა, თავად პოეტმა, ბატონმა ისაკ ქორთუამ ითამაშა მთავარი როლი. ის ჩვენს უმწიფარ ლექსებს ხშირად გვიქვეყნებდა და ნაადრევად გვაფრთიანებდა პოეზიის ეკლიან გზაზე.

იმდროინდელი ზუგდიდის ერუდირებულ, დახვეწილ ინტელიგენციაზე უსასრულოდ შემიძლია მოკრძალებითა და აღტაცებით საუბარი. ისაკ ქორთუას მხარს უმშვენებდნენ: ილია გოგია, იოსებ ჩიქავა, მირიან ნარმანია, შოთა ხუბულავა, ორესტი ქირია, დავით ჭანტურია, კარლო მიქაია, გოგოლა და ნოდარ ჩხოლარიები, შოთა სარია, მურმან დემურია, კოკი ნარმანია, ბესარიონ ჯანაშია, ინდიკო კუხალეიშვილი და მრავალი და მრავალი სადადიანოს ღირსეული შვილი – ეს იქნებოდა სამედიცინო თუ სასოფლო-სამეურნეო დარგის კომპეტენტური, ღირსეული წარმომადგენელი; ისინი თავიანთი სპეციალობებით როდი იზღუდებოდნენ, იყვნენ ამქვეყნიური ცხოვრების წესით ყოველმხრივ მისაბაძნი და ამავე დროს ვიზუალურადაც მომხიბვლელნი....

ამგვარ ხალხში, გარემოში გვიხდებოდა მე და გენოს ცხოვრება და ჩვენც შეძლებისდაგვარად ვბაძავდით მათ...

ნეტავი იმ დროს! მართლაც რომ ამაღლებული, რომანტიკული პერიოდი გვედგა!

დიდი კონსტანტინე გამსახურდია (ზუგდიდს ვაიმარს ეძახდა), ლეო ქიაჩელი, ხუტა ბერულავა, ისტორიკოსები: შოთა მესხია, ირაკლი ანთელავა, მხატვრები: მიშა ხვიტია, ლეო ძაძამიძე დადიანების სატახტო ქალაქის სასურველი სტუმრები გახლდნენ.

ჩვენი სიჭაბუკის პერიოდი ტრადიციულ ღირებულებებსა და ფასეულობებს ეფუძნებოდა.

გენო და მე სულიერად სპეტაკ ადამიანებს ძირხვენა ჟენშენივით დავეძებდით კოლხეთის წარსულსა და მის ყოველდღიურობაში...

მახსოვს, თუ როგორი ამაყები ვიყავით (გენო, აწ გარდაცვლილი პოეტი ოთარ მიქაძე და მე), ჩვენი უსაყვარლესი პოეტის ალექსანდრე საჯაიას საფლავთან რომ ვიდექით, სოფელ ოდიშში, როცა მას დიდი მცდელობის შემდეგ ძლივს მივაგენით...

იყო ჩვენში რაღაც დაუოკებელი, ამაღლებული წინაპართა დაფასებასა და მათი ღვაწლის შეგრძნებისადმი. დღეს კი გენო ჩვენს გვერდით აღარაა, დაუნდობელია ჟამთა სვლის სრბოლა, თუმცა პოეტის სულიერება სიცოცხლეს უწყვეტად განაგრძობს... მისი ხატება, მისი ოჯახის წევრები ჩვენთვის ძვირფასია და ზეციური მარადისობისკენ მიმავალ ორმოცსაფეხურიანი კიბით ამაღლებულ გენო კალანდიას დღეს ჩვენი ამქვეყნიური ალალი ცრემლები მიჰყვება, როგორც დასტური გაუხუნარი სიყმაწვილის დროის სიყვარულისა.

# იმ უძველესი დროიდან

## გენოს ნათელ ხსოვნას

მცხეთაში გაუგზავნია
ქუჯს ფარტაზისთვის ელჩი,
ელჩი იქ დასახლებულა,
ამისთვის ვინ რას ერჩის!
არ თქმულა სიტყვა ძვირი
მასზე ეამა მთავარს:
ამგვარნი თუ ვიქნებით –
დაულაშქრავი მთა ვართ!
ჩვენი გენების ყივილს
სისხლი რომ უჩქეფს ქართული,
მიტომაც ქრისტეს მცნებაში
ჩვენი გონია ჩართული!
– დიახ, ეს მართლაც ასეა! –
უპასუხია ფარტაზს,
– მაშინ არ დაენახვება
საქართველოი ავ თვალს!
ჩვენ დაგვიფარავს გიორგი
და ლოცვა მარიამის! –

...მას აქეთ ნახეთ მართლაც
გვადგას საუფლო დარი!
ხომ ხედავთ მუშტად შეკრულა
იმერ-ამერის ხალხი
და საწარმართოდ ბრუნავს
ჩვენი სამშობლოს ჩარხი!
ამ გზნებით შეჯერებულან
ფარნავაზიც და ქუჯიც,
მას აქეთ დღეა უღრუბლო,
პონტოს ზღვასავით ლურჯი!
მას მერე მზე აკაშკაშებს
თბილისს, რომ ჰქვია ქართიც,
მცხეთას სხივები ჰფენია
საქრისტიანო – ნათლის!
არმაზს, ზედაზენს, დანინას
ნინომ აპკურა მირონი,
დუღს და გადმოდუღს საქმენი
ტრფობისა – მძლე საგმირონი!

მერე სიყვარულს თანდათან
გაუღრმავდაო ფსკერი
და საქართველოც მთელი
ხმით
მრავალჟამიერს მღერის!
შენ, კოლხელს – ძმაო გენო,
დაგყვა იმ ელჩის მადლი,
გტკიოდა შენი მიწის
ყოველი ციდა, ადლი;
ამ დიდ სიყვარულს აროდეს
არ გაჩენია ზადი,
მიტომ ამ მიწის მკერდში
ჩაწვდი ქართველთა წადილს–
ხედავ? კოლხელი მცხეთამ,
ვითარცა ელჩი ქუჯის –
გულში ჩაგიკრა მკვიდრად
საფიროსმანო ფუნჯით!

**დილარ ივარდავა**

კრიმინალი

# დედა-შვილის მკვლელს – უვადო პატიმრობა



**ფონიჭალაში დედა-შვილის მკვლელობაში ბრალდებულს სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა. გიორგი ხაბელაშვილისთვის უვადო პატიმრობას ითხოვდა პროკურატურაც. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება გუშინ გამოაცხადა. გამამტყუნებელი ვერდიქტი კი ბრალდებულს ნაფიცმა მსაჯულებმა რამდენიმესაათიანი მსჯელობის შემდეგ გამოუტანეს. მათ გადაწყვეტილება 10 ხმით 2-ის წინააღმდეგ მიიღეს.**

საქმის მასალების თანახმად, „2016 წლის 22 თებერვალს, ბრალდებული 7000 აშშ დოლარის ფულადი თანხისა და ოქროს ნივთების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით მივიდა მისი ნაცნობის ოჯახში, სადაც მოკვლის განზრახვით ნონა რ.-ს თავში დაარტყა სკამი, რის შემდეგაც მსხვერპლისთვის ტანჯვის მიყენების მიზნით დანით სხეულის სხვადასხვა ადგილას მრავლობითი ჭრილობა მიაყენა დედას და მის მცირეწლოვან შვილს, რომლებიც მიღებული ჭრილობების შედეგად ადგილზე გარდაიცვალნენ“.

გარდა, ამისა, გამოძიების მასალების მიხედვით, „ბრალდებული დაეუფლა ოჯახში არსებული ოქროს ნივთების ნაწილს ღირებულს 5000 ლარად, ხოლო ოქროს ნივთების სხვა ნაწილს და ფულად თანხას ვერ მიაგნო. კვალის დაფარვის მიზნით, ცეცხლი წაუკიდა საცხოვრებელ ბინას, თავად კი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან“.

# თბილისში ინტერპოლით ძებნილი დააკავეს

**შსს-ს თბილისის ინტერპოლისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად ბაქოს ინტერპოლის მიერ 2015 წლის ნოემბრიდან წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე ძებნილი აზერბაიჯანის მოქალაქე, 1961 წელს დაბადებული გ.ი. თბილისში დააკავეს. მას ბრალი ედება აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 213.2.2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც დიდი ოდენობით გადასახადებისათვის თავის არიდებას გულისხმობს.**

ამ დროისთვის დაკავებული პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

◉ ახალი სახლ-მუზეუმი

# სტუმრად სმირნოვებთან

**ქართული და ევროპული კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ნიმუშების ხილვა შეეძლებათ ამიერიდან ხელოვნების თბილისელ თაყვანისმცემლებსაც და დედაქალაქის სტუმრებსაც.**






20 აპრილს თბილისს ახალი, მეტად საგულისხმო კულტურული კერა შეემატა: სოლოლაკში, ტაბიძის ქუჩის №20-ში, „კავკასიური სახლის" მე-2 სართულზე საზეიმოდ გაიხსნა „სმირნოვების მუზეუმი". საგვარეულო კოლექციაში, რომელსაც ამ სახელოვანი გვარის რამდენიმე თაობა დიდი რუდუნებით აგროვებდა, მე-18-მე-19 საუკუნეების ფერწერის, ქანდაკების, ლითოგრაფიის, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებია დაცული, რომელთა ავტორები ი. აივაზოვსკი, ფ. ვინტერჰალტერი, ფ. კრიუგერი და სხვები არიან. დამთვალიერებელთა ყურადღებას უდავოდ მიიპყრობს მე-18-მე-19, ასევე მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპასა და რუსეთში შექმნილი ავეჯი, საოჯახო და პირადი მოხმარების ნივთები, უნიკალური ბიბლიოთეკა, მდიდარი ფოტო და დოკუმენტური მასალა.

უაღრესად საინტერესოა „სმირნოვების მუზეუმის" განთავსების ადგილი: ესაა ამ გვარის ყოფილი ბინა, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იან წლებში არქიტექტორ ო. სიმონსონის მიერ სომეხი ვაჭრის ი. თამამშევისთვის აგებულ სახლში მდებარეობს, რომელმაც ის შემდგომ მზითევად გაატანა თავის შვილიშვილს ელისაბედ თამამშევას, როცა ის ცოლად გაჰყვა იმპერატორის კარის ფრეილინა ალექსანდრა სმირნოვა-როსეტის ვაჟიშვილს მიხეილ სმირნოვს. ამ სახლის მოსაწყობად მან საგანგებოდ სანკტ-პეტერბურგიდან საგვარეულო ქონება ჩამოიტანა და იმდროინდელ განის ქუჩაზე იქ სმირნოვების ოჯახის სამმა თაობამ იცხოვრა.

ძალიან დიდი ხნის მანძილზე სმირნოვების სახლი მრავალი ევროპელი და კავკასიელი კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეს მასპინძლობდა. მის სტუმართა შორის აუცილებლად უნდა ვახსენოთ ილია ჭავჭავაძე, დავით სარაჯიშვილი, კიტა აბაშიძე, პეტრე ჩაიკოვსკი, ივანე აივაზოვსკი. ის მრავალმხრივი და, რაც განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, მრავალეროვნული კავშირები სმირნოვების ოჯახის შთამომავალთა გენეტიკაშიც აისახა, რომელთა წინაპრები იტალიელ როსეტის, სომეხ თამამშევთა, რუს სმირნოვთა, ქართველ ციციშვილთა და ერისთავთა გვარების წარმომადგენლები არიან.

ამ ოჯახს ასევე უკავშირდება მრავალი საქველმოქმედო ღონისძიება — მიუსაფარ ბავშვთა დახმარება, დედაქალაქში მთელი რიგი მშენებლობის ფინანსური მხარდაჭერა, სწორედ იქ ჩაეყარა საფუძველი ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებთა პირველ სრულყოფილ გამოცემას.



აღსანიშნავია, რომ 20 მაისამდე „სმირნოვების მუზეუმი" სტუმრებს 11-დან 17 საათამდე (კვირისა და ორშაბათის გარდა) უფასოდ უმასპინძლებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**






◉ ინტერნეტიდან

# მარიკა, გონსალო და ტუალეტის ქაღალდი

**მკერდზანზარა იტალიელ მოდელს მარიკა ფრუშოს ძალიან არ მოსწონებია მისი საყვარელი საფეხბურთო კლუბის „ნაპოლის" ქომაგების მიერ მოფიქრებული ერთი შეხედვით ნამეტნავად გონებამახვილური ტრიუკი, რაც ნეაპოლელი ტიფოზების აზრით, მათი კლუბის მოღალატის დასასჯელად გააკეთეს.**

საქმე ისაა, რომ „ნაპოლის" გულშემატკივრები ვერაფრით ეგუებიან მათი საყვარელი გუნდიდან დანასისხლად გადამტერებულ „იუვენტუსში" გონსალო იგუაინის გადაბარგებას და სულ ახლახან ნეაპოლის სტადიონთან ახლოს მდებარე სპორტული აქსესუარების მაღაზიებში გონსალოსგამოსახულებიანი ტუალეტის ქაღალდი გამოჩნდა.

მარიკა ფრუშოს აზრით, ეს არაა სწორი გადაწყვეტილება და ნეაპოლიტანელი ტიფოზების მიერ იგუაინის „დასჯას" ბევრი არასამხრეთელი ქომაგი სულ სხვანაირად გაიგებს. ფრუშოს ქალი ამბობს, რომ გულშემატკივარმა თავისი მონდომება და კლუბის სიყვარული სტადიონზე უნდა დაამტკიცოს და ცინიკური (თუნდაც გონებამახვილური) ჟესტებით არაფერი მიიღწევა. ამბობს და მკერდს ლაღად უშვერს ზღვიდან შემოჭრილ ნიავს.



**როსტომ რაჭველიშვილი**

# აჭარით ბელარუსი ჟურნალისტები დაინტერესდნენ

**აჭარის ტურისტული შესაძლებლობებით ბელარუსი ჟურნალისტები ინტერესდებიან. მინსკის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე მყოფმა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა რეგიონის ტურისტულ პოტენციალზე, აჭარაში მოგზაურობასა და დასვენების საშუალებებზე მინსკში პოპულარული რადიოების „ბელარუს", „სპუტნიკ" და პირველი არხის ეთერში ისაუბრა. აჭარის შესახებ სტატიები გამოაქვეყნა რეიტინგულმა გაზეთებმა „ანტენა" და „სბ".**



აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონი მინსკის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე Leisure 2017 დამოუკიდებელი სტენდით წარადგინა. ბელარუსში პოპულარულ გამოფენაზე მისულმა ვიზიტორებმა აჭარის, როგორც ტურისტულად საინტერესო ადგილის შესახებ დეტალური ინფორმაცია დეპარტამენტისა და ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებისგან მიიღეს.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ბელარუსში პიარ და სარეკლამო კამპანიებს 2013 წლიდან ახორციელებს. ბელარუსი დღემდე წარმოადგენს აჭარისთვის ტურისტულად მიმზიდველ ბაზარს. მიმდინარე წელს აჭარის რეკლამირება ბელარუსში მაისიდან დაიწყება, რაც სატელევიზიო, რადიო და გარე რეკლამებს ითვალისწინებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.3943; ევრო - 2.5751;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0676;
100 რუბლი - 4.2538; თურქული ლირა - 0.6583;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4084;
1000 სომხური დრამი - 4.9367.

**ამინდი 22 აპრილისთვის**

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +6 | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +3, | დღე +13 |
| დასავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +4, | დღე +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +2, | დღე +10 |
| თბილისი: | ღამე +10, | დღე +15 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge